შესავალი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიში, კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებებისა და საქმიანობის პრინციპების შესაბამისად, ასახავს მუნიციპალიტეტის მიერ გასული წლის განმავლობაში განხორციელებულ ძირითად საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებს. ანგარიში მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესს, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მუნიციპალიტეტის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, განათლების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და სპორტის განვითარების მხარდაჭერას, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში განხორციელებულ პროგრამებსა და ინიციატივებს, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნით.

2025 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები კვლავ მოიცავდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სოციალური პროგრამების გაძლიერებას, კულტურისა და სპორტის განვითარებას, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

ჩვენი მთავარი მიზანია, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები მოსახლეობის ინტერესებსა და კეთილდღეობაზე იყოს ორიენტირებული, რის გამოც ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით ვახორციელებთ და მომავალშიც განვახორციელებთ მნიშვნელოვან სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 35 400 000 ლარს, ხოლო დღეის მდგომარეობით ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი შეადგენს 56 136 000 ლარს, მიმდინარე წლის განმავლობაში ცვლილებებით ბიუჯეტი გაიზარდა 20 736 000 ლარით, რაც პროცენტულ მაჩვენებელიში ზრდით 34%-ია. ბიუჯეტის განაწილება პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად განისზღვრა:

- **წარმომადგენლობითი ხარჯი - 6 567 000 ლარი.**
- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 20 417 300 ლარი.**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა - 3 909 700 ლარი.**
- **განათლება - 11 541 700 ლარი.**
- **კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი - 9 345 000 ლარი.**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 4 355 300 ლარი.**

ინფრასტრუქტურის განვითარება

ჭიათურის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც მოიცავს გზების რეაბილიტაციას, წყალმომარაგების სისტემების განვითარებას, პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობას.კულტურულ საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია

და სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი ობიექტების განახლებას.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან 2025 წელს დაფინანსდა 38 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის 33 საავტომობილო გზა, 2 სკვერის რეაბილიტაცია, 1 წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა და 1 მინი სტადიონის მოწყობა. ბიუჯეტმა შეადგინა 8 059 862 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა - მე -7 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია - პროექტის ბიუჯეტი: 7 252 060 ლარი.

სოფელ რგანის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია - პროექტის ბიუჯეტი: 1 250 000 ლარი

ასევე მიმდინარეობს - სოფელ ზოდის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - პროექტის ბიუჯეტი: 4 985 736 ლარი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინსებით მიმდინარეობს ჭიათურის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის

რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა პროექტის ღირებულება : 13 660 231 ლარია.

სკოლების მცირე რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა 7 სკოლის რეაბილიტაცია. ბიუჯეტმა შეადგინა 454 151 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარე წელს დაიწყო 53 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელება, მათ შორის 49 გზის პროექტია, დარჩენილი 4 პროექტი კი მოიცავს ნეირობალანსირების ცენტრის მოწყობას ფრანგიშვილის ქუჩაზე, თბილისის ქუჩისა და ზედა რგანის ფერდობზე დაძრული ლოდების ჩამოწმენდას, სოფელ წირქვალში სანიაღვრე არხის მოწყობასა და საშევარდნოს გადმოსახედზე ფანჩატურის მშენებლობას. ბიუჯეტი - 5 361 914 ლარი.

მთის ფონდის დაფინანსებით სოფელ ხრეითში მიმდინარეობს სპარიეთის უბნის გზის რეაბილიტაცია 2025 წლის ბიუჯეტია 300 000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება - 60 პროექტი. პროგრამის ბიუჯრტი 851 000 ლარი.

სტიქიის ფონდის ფარგლებში განხორციელდა 16 საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენა. პარალელურად დახმარება გაეწია 52 ოჯახს, რომელთა სახლები მიმდინარე წლის დასაწყისში დიდთოვლობის შედეგად დაზიანდა. ბიჯეტი 1 487 024 ლარი.

პროექტ მოქალაქეთა ჩართულობის ფარგლებში მიმდინარე წელს გამოყოფილია 300 000 ლარზე მეტი. თანხა მიმართულია ფანჩატურების, ბავშვთა გასართობი ატრაქციონების, გარე განათების, მოსაცდელების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სხვადასხვა საჭიროების მასალის შეძენის მიზნით.

გთავაზობთ პროექტების ჩამონათვალს:

რეგიონალური განვითარების ფონდი:

სოფ. ტყემლოვანაში, კაპანაძეების უბანში 1-კმ-იანი გზის მოწყობა 355,124.00

სოფ. ითხვისში ლომიძეების უბნის გზის მოწყობა 588,445.00

სოფ. ხრეითში, მოდებაძეები-მიხელიძეების (კალოს უბნის) გზის მოწყობა 159,572.00

სოფ. რკვიანის საუბნო გზის მოწყობა 154,517.00

სოფ. მანდაეთის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 761,092.00

სოფ. ტყემლოვანაში ჩინჩალაძეების უბანში გზის მოწყობა 29,687.00

სოფ.ითხვისი, 32-ის ქალაქთან დამაკავშირებელი გზის მოწყობა 698,111.00

ჭიათურაში, კოროხნალის გადასახვევიდან 25-ის მაღაროს დასახლებაში, სკვერის მიმდებარე ტერიტორიამდე გზის მოწყობა 900,678.00

ავარიონი-საფარის გზაჯვარედინიდან საფარის დასახლებამდე გზის მოწყობა 409,460.00

ჭიათურის მუნიციპალიტეტში ავარიონი-საფარის გზაჯვარედინიდან ავარიონის დასახლებამდე მისასვლელი საავტომობილოგზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 139,604.00

სოფ.ჭილოვანში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა 57,371.00

სოფელ ნიგოზეთში კუპატაძეები-ლაბაძეების გზის რეაბილიტაცია 63,325.00

სოფ. ითხვისში ცენტრალური გზიდან ადმინისტრაციულ შენობამდე, ამბულატორიამდე და საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზა100,847.00

სოფ.მერევში საავტომობილო გზის, ფერდის გამაგრების და დამცავი საყრდენი კედლის მოწყობა 216,303.00

სოფელ პერევისაში კურტანიძეების უბნამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 139,992.00

სოფელ ითხვისში ღავთაძეებისა და ნადირაძეების საუბნო გზა 69,999.00

ითხვისში ნადირაძეების საუბნო გზა 130,157.00

სოფელ სალიეთში მოდებაძე რაულის სახლთან მისასვლელი გზის მოწყობა 67,405.00

სოფელ ქვედა ჭალოვანში მაჭარაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 109,000.00

სოფელ წყალშავში მოცეკვავეების უბნის გზის რეაბილიტაცია 187,787.00

სოფელ უსახელოში ტბის უბნის გზის რეაბილიტაცია 184,240.00

სოფელ დიდ კაცხში ცივი კუთხის გზის რეაბილიტაცია 312,164.00

ქ. ჭიათურაში რკინიგზის სადგურის მიმდებარედ საფეხმავლო ხიდის მოწყობა 353,836.00

სოფელ მანდაეთში ციცვიძეები-გელაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 239,239.00

ჭიათურის მერიის წინ არსებული სკვერის რეაბილიტაცია 298,648.00

მღვიმევის მონასტრის წინ სკვერის და ტერიტორიის კეთილმოწყობა 121,663.00

სოფ.ქვაციხეში ცხოვრებაძეების უბნის გზა 63,158.00

სოფ.ვანში ცენტრალური გზა 63,158.00

სოფელ ხვაშითში ბუზალაძეების უბანში გზა 63,158.00

სოფ.პერევისაში წივილაშვილები გოგოლაძეების უბანში 350 გრძ/მ გზა 63,158.00

სოფ.რკვიანში ბიძინა სამხარაძის უბანში გზა 57,642.00

სოფ.ზოდში სხირტლაძეები იობაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია 240,287.00

სოფ.ჩხირაულში(პატარა ჩხირაულში)ნაწილი1(ცენტრალური გზიდან მოსაცდელამდე) და ნაწილი 2(მოსაცდელოდან სოფლის ბოლომდე" 390,387.00

სოფელ წინსოფელში ხიხაძეების უბანში 200 გრძ.მ-ზე გზის მოწყობა 44,444.00

სოფ.ზოდში ქაშაკაშვილების უბანში 1000გრძ.მგზის მოწყობა 63,158.00

სოფ.ზედა ბიღაში ბიწაძეების ჩასახევი 220 გრძ.მ გზის მოწყობა 49,349.00

სოფელ მოხოროთუბანში გაბრიჭიძეების უბანში გზის მოწყობა 57,895.00

სოფელ ბჟინევში დვალიშვილები-აბდუშელიშვილების უბანში გზის მოწყობა 55,802.00

სკოლების მცირე რეაბილიტაცია:

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლა - გათბობის სისტემის მოწყობა 81,870.00

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის შენობის ოთახების რეაბილიტაცია 19,513.00

სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლა - სახურავის რეაბილიტაცია 105,516.09

სსიპ - ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლა - ოთახების რეაბილიტაცია 38,943.00

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა - ოთახების რეაბილიტაცია 28,155.00

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჭალოვანის საჯარო სკოლა - სახურავის რეაბილიტაცია 42,249.00

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტი სოფელი რგანის საჯარო სკოლა - სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 8,927.35

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლა - სახურავის რეაბილიტაცია 55,836.00

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ.რცხილათის საჯარო სკოლა 34,037.00

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყემლოვანის საჯარო სკოლა 18,017.00

ჭიათურის მე-4 საჯარო სკოლა - სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია 54,256.72

ჭიათურის მე-7 საჯარო სკოლა - სათვალთვალო კამერების შეძენა 12,088.00

სოფელ რგანის საჯარო სკოლა - სახანძრო სისტემების უსაფრთხოება 7,901.00

სოფელ პერევისის საჯარო სკოლა - გათბობის სისტემის მოწყობა 62,307.00

ადგილობრივი პროექტები:

სოფელ ხრეითში სპარიეთის უბნის გზის რეაბილიტაცია 20,000.00

სოფელ ეწერში კუპატაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 268,311.00

სოფელ დიდ კაცხში სვეტის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა. 50,070.00

სარქველეთუბნის-ბუნიკაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 46,975.00

სოფელ ბჟინევში რაზმაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია 33,845.00

სოფელ სვერში გვალაზაურის უბნის გზის რეაბილიტაცია 24,970.00

სოფელ შუქრუთში ჩაჩანიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია 36,710.00

სოფელ შუქრუთში ზოსიმაურის ეკლესიისკენ ასასვლელი გზის რეაბილიტაცია 75,388.00

ნეირობალანსირების ცენტრის შენობის სარემონტო სამუშაოები 96750

სოფელ საკურწეში ხვედელიძეები-სარალიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია 78 257,00

სოფელ ნავარძეთში გერმანიკაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 37 730,00

სოფელ ეწერში გოგსაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 120263.99

სოფელ ნიგოზეთში საბავშვო ბაღიდან ჩახტიიების უბნამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 29 065,00

სოფელ ხრეითში მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 53329.22

სოფელ პერევისაში სკოლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 26440

სოფელ კალაურში სკოლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 59126

სოფ. შუქრუთში ნოზაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 94333

სოფელ სკინდორში კანიების საუბნო გზის რეაბილიტაცია 30367.29

სოფელ ზედუბნში საუბნო (120მ) გზის რეაბილიტაცია 33.247

სოფელ ზოდში ჭიღლაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 24,910,98

სოფელ ზოდში -წირქვალის დამაკავშირებელი 225მ გზის რეაბილიტაცია 55.555

სოფელ ზედა ჭალოვანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 130948

სოფელ ზედა ჭალოვანში ბიჭიას უბნის გზის რეაბილიტაცია 53475

რგანი-ვაჭევის შემაერთებელი გზის(ცენტრიდან გველესიანების უბნამდე) რეაბილიტაცია 26000

სოფელ რგანში ჩალაძეების საუბნო 250მ გზის რეაბილიტაცია 95398.55

სოფელ ქვედა ბერეთისაში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 158208

სოფელ ნიგოზეთში მაჭარაშვილები- ასანიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 218825

სოფელ წყალშავში ქვრივიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 190319

სოფელ მანდაეთში ზედვაკის გზის რეაბილიტაცია 388000

სოფელ მანდაეთში ივანაშვილები- კოხიების 450მ გზის რეაბილიტაცია

სოფელ ითხვისში კაპანაძეები- ნადირაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 287784

სოფელ ითხვისში ჩინჩალაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 109525.98

სოფელ სვერში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 66993

სოფელ ნავარძეთში „მსხლოვანის“ (სასაფლაოს გზა) გზის რეაბილიტაცია 28888

სოფელ მორძგვეთში აბუთიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 13446.1

სოფელ ნავარძეთში სერის უბნის გზის რეაბილიტაცია 240637

სოფელ ზედა რგანში ცენტრალურ გზაზე ბეტონიდან ბეტონამდე შემაეთებელი 250გრძ/მ (ვაშაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია 55555

სოფელ თაბაგრები- ბუნიკაურის გზის რეაბილიტაცია 380999

სოფელ თაბაგრებში ჯიქიძეების უბნის (სასაფლაომდე მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია 158311

სარქველეთუბანი-ბუნიკაურის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 471550

სოფელ ქვედა ჭალოვანში დემეტრაშვილების უბნის გზის მობეტონება 84000

სოფელ მღვიმევში ნამბულეების უბნის გზის რეაბილიტაცია 129129

სოფელ ქვაციხეში ჩუბინიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 164442

სოფელ რცხილათში მარუაშვილების სახლთან ჩასასვლელი 100მ გზის რეაბილიტაცია 15732

სოფელ ბიღაში გოგოლაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 110000

სოფელ ჯოლხეეთში აბესაძეების უბნის (100მ) გზის რეაბილიტაცია 32768.6

სოფელ მელუშეეთში დაბლა უბნის გზის მობეტონება 269043

სოფელ ვაჭევში კვერნები, ბაგრატები, კაკაჩების უბნის გზის რეაბილიტაცია

სოფელ ღვითორში ამბლუაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 125999

სოფელ დარკვეთში 33-ის დასახლებაში საუბნო გზის რეაბილიტაცია 294194

ჭიათურაში მშვიდობის საბაგიროსთან ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები 21021.71

თბილისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიისა და ზედარგანის ფერდობის დაძრული ლოდების ჩამოწმენდის სამუშაოები 8363.83

სოფელ წირქვალში ქვედა ბრეგვაძეების უბანში (ალექსანდრე ბრეგვაძის სახლის მიმდებარედ) სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები 6300

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სვერი - გარე განათება 15,425.75

ცხრუკვეთი - გარე განათება 11,560.40

თვალუეთი - სასაფლაოს შემოღობვა 11,572.92

გეზრული - სასაფლაოს შემოღობვა 11,572.92

მელუშეეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა 9,646.56

ჯოლხეეთი - შმაგი კუპატაძის სახ. სკვერის მოწყობის დასრულება 29,989.23

ღვითორ - სასაფლაოს ტერიტორიაზე ფანჩატურტის მოწყობა 9,628.76

ვაჭევი - გარე განათების ქსელის მოწყობა 11,579.02

ითხვისი, ბჟინევი, ბეგიაური - ბიბლიოთეკისა და საკლუბო დაწესებულების შენობის კეთილმოწყობა 44,300.44

კაცხი, სალიეთი - ბიბლიოთეკის მოწყობა 29,703.00

დიდი კაცხი - სასაფლაოს შემოღობვა 15,399.48

ეწერი - სანიღვრე არხის მოწყობა. გარე განათების მოწყობა 15,438.95

ჯოყოეთი - გზის მობეტონება. 30,316.93

მეჩხეთური - სტადიონის შემოღობვა 12,469.09

ქბილარი - სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა 8,811.14

მანდაეთი - ერთეული სასაფლაოს შემოღობვა 15,487.00

ნიგოზეთი - საბავშვო ბაღის შემოღობვა 16,946.17

ქვედა ბერეთისა - წყალმომარაგებისათვის ავზების (2 ცალი 10 ტონიანი) და შავი მილების (დ=60მმ) შეძენა

ზედა ბერეთისაბ - სანიღვრე არხების მოწყობა 11,580.00

წყალშავი - სასაფლაოს შემოღობვა 13,434.25

ნავარძეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა. 2. ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა 15,390.78

მორძგვეთი - სანიაღვრე არხების მოწყობა. სოფლის ცენტრში გარე განათების მოწყობა 13,019.75

ტყემლოვანა - სარიატულო დარბაზის მოწყობა 15,430.18

ჩხირაული - სასაფლაოს შმოღობვა 11,590.71

უსახელო - სტადიონების მოწყობა. სპორტული მოედნის შემოღობვა 17,771.31

მერევი - სასაფლაოს შემოღობვა 24,127.72

წასრი - სანიღვრე არხის მოწყობა 11,579.95

გუნდაეთი - ატრაქციონების მონტაჟი და შემოღობვა. დარბაზის ეზოს ჭიშკრის მოწყობა 11,160.00

წინსოფელი - სკვერის კეთილმოწყობის დასრულება 11,484.85

ჭილოვანი - სასაფლაოს შემოღობვა 11,851.00

სკინდორი - სასაფლაოს შემოღობვა 15,398.66

თაბაგრები - სასაფლაოს შემოღობვა და სველი წერტილის მოწყობა. საბავშვო ბაღში 1 ოთახის მოწყობა 21,413.47

ზედა რგანი - სასაფლაოს შესასველის მოწყობა, ფანჩატურის მოწყობა 9,650.00

ბუნიკაური - გარე განათების მოწყობა, საბავშვო ატრაქციონები 10 000

სარქველეთუბანი - ფანჩატურის შემოღობვა და ატრაქციონის მოწყობა. გარე განათების მოწყობა 10 000

კვახაჯელეთი - სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა (ბეტონის საფარი) 13,490.53

ვაკევისა - საუბნო გზის მოხრეშვა 10 000

შუქრუთი - სასფლაოს შემოღობვა 16 000

კალაური - გარე განათების მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა 11,579.78

პერევისა - სასაფლაოს შემოღობვა 15,426.68

დარკვეთი - 33 დასახლებაში ატრაქციონების მოწყობა. ახალ დასახლებაში ატრაქციონის მოწყობა. გარე განათების მოწყობა მზის პანელებზე 16 000

მოხოროთუბანი - აზნარაშვილებსა და გაბრიჭიძეების უბანში გარე განათების მოწყობა მზის პანელებზე 9,649.45

ზოდი - 2 ერთეული მოსაცდელის მოწყობა 21,930

ზედუბანი - გარე განათების მოწყობა მზის პანელებზე 11,575.04

ბიღა - სასფლაოს შემოღობვა 11,561.02

რცხილათი - მოსაცდელის მოწყობა. ბარიერის მოწყობა გზაზე 15,167.56

საკურწე - სასაფლაოზე 2 ერთეული თავშეყრის ადგილის კერთილმოწყობა. 2. ფანჩატურის მოწყობა 15,433.13

ქვაციხე - სოფლის ცენტრში ფანჩატურის მოწყობა. 2.სანიაღვრე არხის მოწყობა 3. არსებული მოსაცდელის მოწყობა 16,007.76

მღვიმევი - გარე განათების მოწყობა 15,295.62

ხალიფაური - ფანჩატურის მოწყობა. 2 გარე განათების მოწყობა 15,439.59

წირქვალი - გარე განათების ქსელის მოწყობა 15,438.32

ქვედა ჭალოვანი - გარე განათების მოწყობა მზის პანელებზე 15,435.92

რგანი - გარე განათების მოწყობა (მზის პანელებზე) 19,295.70

ხრეითი - სტადიონის დასრულება. 2 ეთეული მოსაცდელის მოწყობა" 19,258.35

ზედა ჭალოვანი - გარე განათების დასრულება 11578.38

ხვაშითი - სტადიონის შემოღობვა. გარე განათების მოწყობა 15,145.40

ვანი - სასაფლაოს შემოღობვა 9,607.26

სტიქიის ფონდი

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის N50-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 88484.18

ქ. ჭიათურაში იაშვილის N16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 66470.22

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის N17-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 78630.37

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის N19-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 78630.37

ქ. ჭიათურაში ნინოშვილის N54-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 51380.76

ქ. ჭიათურაში ჭანტურიას N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 77125.95

ქ. ჭიათურაში ჭანტურიას N14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 71447.74

ქ. ჭიათურაში აღმაშენებლის N9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 97381.01

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის N46-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 77730.12

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის N33-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 95829.24

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის N37-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 70374.78

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის N41-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 95830.37

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის N47-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 70218.24

ქ. ჭიათურაში თორღვაშვილის N4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 72027.93

ქ. ჭიათურაში ჭავჭავაძის N51-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 73778.28

ქ. ჭიათურაში ჭავჭავაძის N57-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 121684.57

მოქალაქეთა ჩართულობა

გეზრულის, ზოდის, კაცხის, სარქველეთუბნისა და ხრეითის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბავშვთა გასართობი ატრაქციონების კომპლექტის შეძენა 35 805.00

ქალაქ ჭიათურის, ნიგოზეთის, ითხვისის, ქვაციხის, პერევისის, კაცხის, სარქველეთუბნის, ვაჭევისა და მანდაეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ფანჩატურის მოწყობა 138 970 ლარი

ითხვისისა და წირქვალის ადმინისტრაციულ ერთეულებში 3 ერთეული მოსაცდელის მოწყობა 24206.7

ვაჭევის, ზოდის, კაცხის, მანდაეთის, პერევისის, რგანის, სარქველეთუბნის, სვერის, ქვაციხის, წირქვალის, ხვაშითის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის 223 ერთეული მზის პანელების შეძენა გარე განათების ქსელის მოწყობის მიზნით 42 998.86

- **შ.პ.ს. „ ჭიათურის წყალი“**

შპს ,, ჭიათურის წყალი ” წარმოადგენს ჭიათურის მუნიციპალოტეტის 100% -იან წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საზოგადოებას, კომპანია წყალმომარაგების ქსელით მომსახურებას ახორციელებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულების მასშტაბით, კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: წყლის მოპოვება, დამუშავება და მიწოდება მოსახლეობისათვის. ასევე, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის პროექტირება, მშენებლობა, მონტაჟი, შეკეთება და ექსპლუატაცია.

2024 წელს დაიწყო და 2025 წლის მარტის თვეში დასრულდა სოფელ პერევისაში არსებული საქონდრიის სატუმბი სადგურის სრული რეაბილიტაცია, შპს „ჭიათურის წყალი“-ს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში შპს „ნდს მშენებლობა“-მ შეასრულა აღნიშნული სამუშაოები და პროექტის ღირებულებამ შეადგინა 328550 ლარი. მოეწყო ახალი წყლის კაპტაჟი და სათავე ნაგებობები, რამაც გაზარდა წყლის დებეტი, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ შემკრებ რეზერვუარს და სატუმბი სადგურის შენობას. დამონტაჟდა ახალი 2 ერთეული ტუმბო-აგრეგატი, ელ.ენერგიის კვების ბლოკი, ასევე მოეწყო წყლის საქლორატორო. საქონდრიის სატუმბი სადგურიდან წყალი მიეწოდება სოფელ სკინდორს, წინსოფელს და ჭილოვანს. აღნიშნულ სოფლებში მოეწყო ახალი წყალმომარაგების ქსელი და წყალმომარაგება გაუუმჯობესდა 652 ოჯახს.

შ.პ.ს. „ჭიათურის წყალი“-ს მიერ 2025 წელს შესრულებული სამუშაოები სოფლების მიხედვით:

1. **პერევისის ადმინისტრაციული ერთეული:**
   სოფელ: პერევისაში, ჭილოვანში, წინსოფელში, შუქრუთში, სკინდორში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2654 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს, სოფ ჭილოვანში დამონტაჟდა 10 ერთეული ინდივიდუალური ტუმბო გიდროფორით (ნასოსის ტვინით), სოფ. პერევისაში (კვანტალიანების უბანი) დამონტაჟდა ერთი ერთეული პლასტმასის 3 000 ლტ. ტევადობის ავზი..

2. **კაცხის ადმინისტრაციული ერთეული:**
   სოფელ: კაცხში, ნავარძეთში, მორძგვეთში, დიდი კაცხში, სალიეთში, ეწერში, მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2529 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს. სოფ. კაცხში მოხდა 42 ოჯახის გამრიცხველიანება და აბონენტად დარეგისტრირება, „ხვადაბუნი“-ს სატუმბ სადგურში შეიცვალა დაზიანებული ტუმბო,

3. **ნიგოზეთის ადმინისტრაციული ერთეული:**
   სოფელი: უსახელო, წყალშავი, მერევი, წასრი, ზედა ბერეთისა მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3744 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს . სოფელ წასრში (ვაშაძეების უბანი) ადგილობრივი წყაროდან მოხდა ახალი ქსელის მოწყობა

და დამონტაჟდა 2 ერთეული 10 ტონიანი ავზი და წყლის ტუმბო, მოეწყო შიდა ქსელი. ტექნიკური წყლით დაკმაყოფილდა 23 ოჯახი.

4. **ვაჭევის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელი: ვაჭევი, ღვითორი მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 930 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს და სოფელ ღვითორში („კერიები“-ს უბანი) დამონტაჟდა 1 ერთეული წყლის ტუმბო.

5. **სარქველეთუბნის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელი: თაბაგრები, ბუნიკაური,ზედა რგანი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1384 გრძ.მ წყალმომარაგების ქსელს. სოფელ ზედა რგანში დამონტაჟდა 1 ერთეული 5 000 ლტ. ტევადობის პლასტმასის ავზი.

6. **რგანის. ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელ რგანში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1200 გრძ.მ წყალმომარაგების შიდა ქსელს, დამონტაჟდა 1 ერთეული 5 000 ლტ. ტევადობის პლასტმასის ავზი

7. **გეზრულის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელ გეზრულში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 470 გრძ.მ წყალმომარაგების შიდა ქსელს, „თედორეები“-ს უბანში დამონტაჟდა 5 000 ლტ. ტევადობის პლასტმასის ავზი, „კაციები“-ს უბანში დამონტაჟდა 3 000 ლტ ტევადობის პლასტმასის ავზი.

8. **ქვაციხის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელ ქვაციხეში, საკურწეში, ბიღაში, მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1013 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს. სოფელ ბიღაში (გურჯიძეების უბანი) დამონტაჟდა 1 ერთეული 5 000 ლტ. ტევადობის პლასტმასის ავზი, სოფელ რცხილათში („ჩელტი ვაკეს“ უბანი) დამონტაჟდა 10 000 ლტ. ტევადობის პლასტმასის ავზი.

9. **სვერის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელ სვერში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1695 გრძ.მ წყალმომარაგების ქსელს, „კრავების“ უბანში დამონტაჟდა 1 ერთეული წლის ტუმბო.

10. **ზოდის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელ ზოდში, მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3114 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს

11. **წირქვალის ადმინისტრაციული ერთეული:**

სოფელი; წირქვალი, მღვიმევი, ხალიფაური მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 922 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელს

12. ხრეითის ადმინისტრაციული ერთეული:

სოფელ ხრეითში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2243 გრძ.მ წყალმომარაგების ქსელს .

13. **ითხვისის ადმინისტრაციული ერთეული** :

სოფელ ბეგიაურში და სოფელ ითხვისში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 650 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელი

14. ხვაშითის ადმინისტრაციული ერთეული:

სოფელ ვანში, ხვაშითში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1000 გრძ.მ. წყალმომარაგების ქსელს.

15. მანდაეთის ადმინისტრაციული ერთეული:

სოფელ მანდაეთში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 762 გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელი, „მჭედლები"-ს უბანში დამონტაჟდა 1 ერთეული წყლის ტუმბო.

2025 წელს ჭიათურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შპს „ჭიათურის წყალი"-ს მიერ მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა **24310** გრძ. მ წყალმომარაგების ქსელს, მოეწყო 9 ერთეული სხვადასხვა ტევადობის წყლის ავზი , დამონტაჟდა 5 ერთეული წყლის ტუმბო და 10 ერთეული ინდივიდუალური ტუმბო ჰიდროფორით (ნასოსის ტვინით).

ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური

- ა(ა)იპ ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 13 ერთეული მრიცხველი დამონტაჟა ელექტროენერგიის ქსელზე მიერთების მიზნით.
- მოახდინა ერისთავის ქუჩის პროექტის შესყიდვა.
- სოფელ სალიეთში მდინარე ყვირილაზე გადასასვლელი ლითონის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ყოფილი ქორწინების სახლის მიშენების ავარიული პარაპეტის დემონტაჟი და სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
- შეიძინა 70 ერთეული ნაგვის კონტეინერები
- 40 ტონა ტექნიკური მარილი (ზამთრის სეზონთან დაკავშირებით).
- ქალაქის ტერიტორიის საახალწლო გაფორმებისათვის გასანათებელი მოწყობილობები და აქსესუარები.

- ქალაქის გარე განათების ქსელისათვის სხვადასხვა მოწყობილობები და ელექტრო ნათურები.

ჭიათურის სატრასნპორტო კომპანია

ჭიათურის სატრასნპორტო კომპანია დაარსდა 2019 წლის დეკემბერში. დაარსებიდან ეტაპობრივად მოხდა კომპანიის გაზრდა და მომსახურების არეალის გაფართოება რაც დღევანდელი მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

1. **სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანა**
2. **საბაგირო გზების მართვა მოვლა პატრონობა და მგზავრთა გადაყვანის მომსახურება.**
3. **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა პატრონობა, მათ შორის:**
   ა). ადგილობრივი, სასოფლო და საუბნო გზების მოვლა პატრონობა, მძიმე ტექნიკით შეკეთება ზამთრის პერიოდში გათოვლითი სამუშაოების წარმოება.
   ბ). ასფალტისსაფარიანი გზების ორმოული დაზიანებების შეკეთება.
   გ). მუნიციპალიტეტის დადგენილ ტერიტორიაზე საპარკინგე ინფრასტრუქტურის მოწყობა და მართვა.

სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანა.

მიმდინარე, 2025 წლის რვა თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოძრაობდა 29 ერთეული სამარშუტო სატრანსპორტო საშუალება სხვადასხვა მიმართულებაზე, მათ შორის ტენდერის საფუძველზე დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებები 15 ერთეული მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებები მათ შორის ავტობუსები სულ 14 ერთეული.

ახალი საბაგირო გზები ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წლის აგვისტოდან. ხოლო 2024 წლიდან ჭიათურა-რგანის(მშვიდობის) საბაგირო გზა .

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა პატრონობა

სასოფლო და ადგილობრივი გზების მოვლა-პატრონობა ხელმისაწვდომია ყველა სოფლისა და უბნისათვის და მთელი წლის განმავლობაში ხელმისაწვდომია სპეცტექნიკა და ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მოსახლეობის მოთხოვნებზე დაფუძნებული მომსახურების გაწევა, როგორებიცაა გზების მოპირკეთება, სანიაღვრე არხების გაწმენდა, სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია და ა.შ.

აქტიურად ხორციელდებოდა ასფალტის საფარის მქონე გზების ორმოული დაზიანებების შეკეთება, 2025წლის განმავლობაში ასფალტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იყო ტენდერი, შესაბამისად გამარჯვებული კომპანია ახორციელებდა დაგეგმილ სამუშაოებს.

ზამთრის პერიოდში აქტიურად ხორციელდებოდა გათოვლითი სამუშაოები, კომპანიას გათოვლითი სამუშაოებისათვის ყავს 7 ერთეული სპეციალური დანიშნულების ტექნიკა რომლებიც დიდთოვლობის დროს 24 საათიან რეჟიმში ახორციელებენ გათოვლით სამუშაოებს და მონაწილეობას იღებენ საგანგებო სიტუაციებში. აგრეთვე განსაკუთრებული უხვთოვლობის გამო კომპანიას დაქირავებული ჰყავდა დამატებით7 ერთეული სპეციალური ტექნიკა და აწარმოებდა გათოვლით სამუშაოებს.

ჯანმრთელობის დაცვაზე მიიმართა 543 300 ლარი, ხოლო სოციალურ პროგრამებზე წლის განმავლობაში მიიმართა 3 812 000 ლარი, აქედან პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარი შეადგენს 7936 მათ შორის :

● საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახური

2025 წლის ამ პერიოდში გამოვლენილი და დარეგისტრირებული იქნა სალმონელოზის ერთი (5 შემთხვევა), ჩუტყვავილას ერთი (9 შემთხვევა) და სოკოთი ინტოქსიკაციის ერთი (3 შემთხვევა)

ეპიდაფეთქება, გამოკვლეულ იქნა ეპიდაფეთქებების ყველა მიზეზი და გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები დაავადებების შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

2025 წელს ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჭიათურაში დარეგისტრირებული და შესწავლილია ტუბერკულოზის **4** ახალი შემთხვევა, მათ შორის **3** ფილტვის და **1** ფილტვგარეშე ტუბერკულოზი. დაავადებულებს უტარდებათ კვალიფიციური ტუბ. მკურნალობა, ჩატარებულია მათთან კონტაქტირებული პირების ეპიდემიოლოგიური და სტანდარტული ფტზიატრიული კვლევები.

ეპიდსიტუაციის მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოებრივი ჯან/დაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახური საყრდენ ბაზებზე დაყრდნობით, ყოველკვირეული დაკვირვების ქვეშ მყოფ ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფს გრიპისმაგვარი დაავადებების, მძიმე - მწვავე რესპირატორული ინფექციების შემთხვევების ყოველკვირეულ ანალიზს, რომელიც იწყება ყოველი წლის მეორმოცე კვირიდან და გრძელდება შემდეგი წლის მეოცე კვირის ჩათვლით - სულ 40 კვირა) დამუშავებული ინფორმაცია ყოველი კვირის სამშაბათს, სათანადო საანგარიშო ფორმით მიეწოდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეგიონალურ სამსახურს. სულ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში -

(01.01.2025 - 30.11.2025 წ) დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადების **2134**

შემთხვევა, აქედან **316** მძიმე რესპირატორული სინდრომით (SARI) მიმდინარეობდა და მათი

მკურნალობა ჰოსპიტალურ რეჟიმს დაექვემდებარა.

ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციისა და სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფის უსაფრთხო სისხლით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში, გამოკვლეულია **42** ორსული და **924** სხვა ბენეფიციარი.

სახელმწიფო პროგრამით - „ჰეპატიტების მართვა“, გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში, მიმდინარე წლის მოცემულ საანგარიშო პერიოდში ჭიათურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა **1632** (HCV) უფასო სკრინინგული კვლევა. სკრინინგით გამოვლინდა 5 HCV ახალი შემთხვევა, რომლებიც დადასტურდა შემდგომი კონფირმაციული კვლევებით. დაავადებულებს უტარდებათ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მკურნალობა.

ანტირაბიული პროგრამის ფარგლებში 2025 წლის მოცემულ საანგარიშო პერიოდში რაბიოლოგიურ კაბინეტს მიმართა **564** დაზარალებულმა (პირველადი ვიზიტები), მათ შორის 15 წლამდე ასაკის **187** მოზარდმა, რომლებთაც გაეწიათ სათანადო სამედიცინო დახმარება. გამოკვლეულია ექსპოზიციის ყველა ეპიდკერა. ავღნიშნავთ, რომ ანტირაბიულ მომსახურებას, ვაქცინისა და იმუნოგლობულინის მომარაგების მხრივ შეფერხება არ ქონია. მასალის უწყვეტი მიწოდება კი ანტირაბიული პროგრამის შეუფერხებელი მუშაობის გარანტს იძლევა. ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე სისტემატიური მონიტორინგის წარმოება და

სათანადო სამსახურების დროული ინფორმირება, სამედიცინო პერსონალის მუდმივი ინსტრუქტაჟი და მოსახლეობასთან პროფ-საგანმანათლებლო საუბრები განაპირობებს სამოქმედო ტერიტორიაზე ანტირაბიული პროგრამის მუშაობის დამაკმაყოფილებელ შედეგებს, რაც თავის მხრივ ცოფით დაავადების ნულოვან მაჩვენებელს განსაზღვრავს.

2025 წლის გასული 11 თვის განმავლობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახურის პარაზიტოლოგიური ლაბორატორიის მიერ ჩატარებულ იქნა 468 კვლევა, მათ შორის დადასტურდა ინვაზირების **290** შემთხვევა (ასკარიდოზი - **206,** ენტერობიოზი- **84**). შემოვიდა ფასცილიოზის **2** შემთხვევის დადასტურების შეტყობინება, ამ კერებში ჩატარდა ეპიდკვლევა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახური აგრეთვე აწარმოებს ყოველკვირეულ დაკვირვებას და მონიტორინგს მწვავე დუნე დამბლის საეჭვო შემთხვევებზე რაიონის სტაციონარის განყოფილებებში.

ინფექციურ დაავადებათა ჯამური მონაცემები და ეპიდემიოლოგიური კვლევები, რომლებსაც ითვალისწინებს სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები, დამუშავებული და დარეგისტრირებულია ინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეის)

● ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს შემდეგი სოციალური პროგრამები:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხორციელდება 17 სოციალური პროგრამა, რომელთა ფარგლებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობა იღებს მნიშვნელოვან სოციალურ მხარდაჭერას.

პროგრამების განხორციელების შედეგად დახმარება გაეწია შემდეგ ბენეფიციართა კატეგორიებს:

- სამკურნალო-საოპერაციო მომსახურებისა და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსებით ისარგებლა 2 454 ბენეფიციარმა;
- პროგრამული ჰემოდიალიზის ქვეშ მყოფ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება გაეწია 43 ბენეფიციარს;
- მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება გაეწია 492 ბენეფიციარს;

- სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარება მიიღო 836 ბენეფიციარმა;
- რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დახმარება გაეწია 12 ბენეფიციარს;
- ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი დაფინანსდა 1 შემთხვევაში;
- უფასო სასადილოს მომსახურებით ისარგებლა 180 ბენეფიციარმა;
- ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 41 პირს;
- დევნილთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში დახმარება მიიღო 66 ბენეფიციარმა;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 7 შემთხვევაში;
- მარჩენალდაკარგული ოჯახების დახმარება მიიღო 116 ბენეფიციარმა;
- ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 224 ოჯახს;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 796 ბენეფიციარმა;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში (ქირით გაყვანილი) დახმარება გაეწია 148 ბენეფიციარს;
- შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა განხორციელდა 2 181 ოჯახში
- სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება მიიღო 22 ბენეფიციარმა;
- ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება გაეწია 317 ბენეფიციარს.

სოციალური პროგრამების ფარგლებში ჯამში დახმარება გაეწია 7 936 ბენეფიციარს.

● ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის **ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება** აგრძელებს მუშაობას იმ ოჯახებთან, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ სახელმწიფოს მზრუნველობას.

2025 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს ინიციატივა — **სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე მრავალშვილიანი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა**. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, განყოფილების თანამშრომლების მიერ მოხდა უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახების მონაცემების გადაცემა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში,

რის საფუძველზეც შერჩეულ იქნა 6 მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთაც სახელმწიფომ საცხოვრებელი სახლები შეუძინა.

განყოფილების თანამშრომლები ახორციელებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს. მაგალითად, ქვაციხეში მცხოვრები სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის შემთხვევაში, განათლების რესურსცენტრთან **გაეწია შუამდგომლობა**, რის შედეგადაც დღეის მდგომარეობით ბავშვი იღებს განათლებას. ასევე განხორციელდა ერთ-ერთი ოჯახის მხარდაჭერა საჭიროების შესაბამისად.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება მუდმივ კომუნიკაციაშია **სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან**.

სკოლამდელი აღზრდა

- **ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღები**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლამდელი დაწესებულებებზე ზრუნვას.

ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღში შემავალი 31 განყოფილებიდან 2025 წლის სასწავლო წელი 29 განყოფილებამ განაახლა (N9 განყოფილება შენობის ავარიული მდგომარეობის გამო დროებით დახურულია, ხოლო რგანის საბავშვო ბაღში გასული წლის ოქტომბრის თვიდან მიმდინარეობს სარეაბილოტაციო სამუშაოები.სამუშაოებს ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი). სასწავლო წელი ყველა საბავშვო ბაღმა განაახლა 15 იანვარს. სულ გაერთიანებაში შემავალ განყოფილებებში ირიცხება 1200 ბავშვი.

2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ხარჯები განისაზღვრა 8450.0 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ხარჯებმა შეადგინა 9065,13 ათასი ლარი.

2025 წლიდან როგორც ქალაქის ასევე ყველა სოფლის საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია ცხელი წყლის მიწოდებით.N4 და N3 საბავშო ბაღისათვის შეძენილი იქნა 3 ახალი ცენტრალური გათფობის ქვაბი თანხით 8,3 ათ ლარი. 2024 წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყო სოფელ რგანის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. სამუშაოებს ასრულებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომლის მიერ მოხდა ბაღისათვის საჭირო ავეჯის, საოჯახო ტექნიკის და სამზარეულოს ინვენტარის შეძენა.გაერთიანების მიერ შეძენილი იქნა 3,2 ათ ლარის სათამაშოები. სოკარ ჯორჯია გაზთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარდა რგანის საბავშვო 2026 წლის დასაწყისიდან საბავშვო ბაღიშეუდგება ფუნქციონირებას. 2025 წლის ოქტომბრის თვეში ქვაციხის საბავშვო ბაღს ჩაუტარდა შენობის სახურავის შეკეთება, რაზედაც გაიხარჯა 11,9 ათ ლარი.ასევე მუნიციპალიტეტიდან გადმოგვეცა მეორადი თუნუქის სახურავი და შეკეთდა სოფელ ბერეთისის საბავშვო ბაღის შენობის სახურავი. ქალაქის 8 და სოფლის ერთი საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით ხოლო დანარჩენ საბავშვო ბაღებში შეძენილი იქნა ზამთრისათვის საჭირო საწვავი ხის მასალა.

● მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობა

➤ ადმინისტრაციული სამსახური

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა. აღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად, მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქის ოფიციალური გვერდის პირად შეტყობინებებში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დაუკავშირდეს ადგილობრივ ხელისუფლებას და მიაწვდინოს ხმა მისთვის მნიშვნელოვან ან პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ფუნქციონირებს **„ცხელი ხაზი“**, რომელიც ოპერატიულად ახდენს შემოსულ ზარებზე რეაგირებას.

საანგარიშო პერიოდში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა **18 690 ერთეული კორესპონდენცია**, რომელიც მოიცავს როგორც მოქალაქეთა განცხადებებს, ისე სამინისტროებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან გადმოგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტებს. აღნიშნული კორესპონდენცია გადამისამართდა მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

ამავე პერიოდში მერიიდან გაიგზავნა **8 671 ერთეული კორესპონდენცია**. კორესპონდენციის **საერთო რაოდენობამ შეადგინა 27 361**.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს **21 მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელი**. 2016 წლიდან დღემდე მაღალმთიანი სტატუსი მინიჭებული აქვს **5 815 მოქალაქეს**, მათ შორის **249 მოქალაქეს – 2025 წელს**. სტატუსთან დაკავშირებით განხორციელდა **1 505 მონიტორინგი**.

● იურიდიული განყოფილება

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება
2025 წლის განმავლობაში იურიდიულმა განყოფილებამ მოამზადა ჯამში 357 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლებიც მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- ტექნიკური ზედამხედველობის დანიშვნა;
- ინსპექტირების განხორციელება;
- ტრანსპორტირების საკითხები;
- კომისიების შექმნა;
- სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ბრძანებები.

2. კონსულტაციები
იურიდიული განყოფილება რეგულარულად უზრუნველყოფს კონსულტაციებს:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს;

- იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

3. ორგანიზაციული ცვლილებების მხარდაჭერა
იურიდიული განყოფილება აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში განხორციელებული ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში და უზრუნველყოფს საჭირო სამართლებრივ პროცედურებს.

4. განცხადებების განხილვა
2025 წლის განმავლობაში იურიდიული განყოფილება მიიღო და განიხილა სხვადასხვა ინსტანციებისა და მოქალაქეების განცხადებები. ყველა განცხადება მოკვლეულია, შესწავლილი და მომზადებულია შესაბამისი წერილობითი პასუხები კანონით დადგენილ ვადებში.

5. მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა
იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერ ინტერესთა დაცვას:

- სასამართლოში;
- სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან;
- სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.
- კერძოდ:
- 1) 11.06.24 წელს საჩხერის რაიონულ სასამართლოში მომზადდა და გადაიგზავნა შესაგებელი შპს
- „თექ ჰაივეი“-ს სამოქალაქო N2/480-23 საქმესთან დაკავშირებით, შესყიდვის ობიექტს
- წარმოადგენდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სკინდორში, ჭილოვანსა და
- წინსოფელში წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების
- ღირებულება შეადგენდა 2 814 918,77 ლარს. დავის საგანი - სახელმწიფო შესყიდვის
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების და სამუშაოების
- შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება. საჩხერის
- რაიონუული სასამართლოს 2025 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „თექ ჰაივეი“-ს სარჩელი
- დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აღნიშნული გადაწყვეტილება 2025 წლის 18 თებერვალს ჭიათურის
- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის
- სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 27 ივნისის №2/8-205-2025წ. გადაწყვეტილებით,
- ჭიათურის მუწიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს
- უზენაეს სასამართლოში გაიგზავნა საკასაციო საჩივარი საჩხერის რაიონული სასამართლოს 2025

-
- 2
- წლის 13 იანვრის N2/480-2023 წ. გადაწყვეტილებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
- 2025 წლის 27 ივნისის №2/8-205-2025წ. გადაწყვეტილებაზე. საქართველოს უზენაესი
- სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ ჩაგვბარებია.
- 1) სამოქალაქო საქმე 2/699-2022 მოსარჩელე შპს ,,ჯთბ გოლდენ ეიჯი“-ს სარჩელისა გამო მოპასუხე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე
- (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობისათვის 511148.59 ლარის
- სამუშაოების 5% თანხით 25557.43 ლარი და გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის 54042.20 ლარის,
- სულ ჯამში - 79599.63 ლარის ოდენობით). საჩხერის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 17
- ივლისის N2/699-22წ. გადაწყვეტილებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 11 ივნისის
- N117 ხელშეკრულების ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას (ს/ნ 215609544) შპს
- „ჯთბ გოლდენ ეიჯი“-ს (ს/ნ 435432499) სასარგებლოდ დაეკისრა 61721 (სამოცდაერთიათას შვიდას
- ოცდაერთი) ლარის და 71 (სამოცდათერთმეტი) თეთრისა და სახელმწიფო ბაჟის - 1851
- (ათასრვაასორმოცდათერთმეტი) ლარის და 65 (სამოცდახუთი) თეთრის გადახდა. საჩხერის
- რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
- გასაჩივრებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. 2024 წლის 17 ივლისის N2/ბ-920-
- 2023წ. გადაწყვეტილებით სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტის
- მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა საჩხერის რაიონული
- სასამართლოს 2023 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის
- დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.
- შპს „ჯთბ გოლდენ ეიჯი“-ს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა
- პირგასამტეხლოს სახით 25557,43 (ოცდახუთიათას ხუთასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და
- ორმოცდასამი თეთრი) ლარის გადახდა. სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 ივლისის N2/ბ-920-2023წ. გადაწყვეტილება
- გასაჩივრდა საქართველოს უზენაესს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 29
- იანვრის Nას-1250-2024 განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი
- დარჩა განუხილველი.
- 2) სამოქალაქო საქმე 2/290-23წ მოსარჩელე შპს ,,არ სი ქონსთრაქშენ"-ის სარჩელისა გამო მოპასუხე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე (2022 წლის
- 14 იანვრის N9 ხელშეკრულებით გათვალისწინებული (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა, ქ.
- ჭიათურაში პიონერთა სახლის მიმდებარედ რეკრიაციული ზონისა და სკვერის მოწყობის
- სამუშაოები) გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის შპს „არ სი ქონსთრაქშენზე“ დაკისრებულმა
- (კალენდარული გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის დაკისრებულმა პირგასამტეხლომ თითოეულ
- გადაცილებულ დღეზე შეადგინა 253.87 (სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%) ლარი),
-
- 3
- პრგასამტეხლომ 1857 დღეზე შეადგინა 471 436.59 ლარი) ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის
- მიერ 2024 წლის 06 ივნისს წარდგენილ იქნა დაზუსტებული შესაგებელი. საქმე დასრულდა
- საჩხერის რაიონულ სასამართლოში. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 02 ოქტომბრის
- გადაწყვეტილებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.
- 13/11/2024 მომზადდა და გაიგზავნა სააპელაციო საჩივარი საჩხერის რაიონული სასამართლოს
- 2024 წლის 02 ოქტომბრის N2/290-2023წ. გადაწყვეტილებაზე. ქუთაისის სააპელაციო
- სასამართლოს 2025 წლის 25 თებერვლის N2/ბ-1360-2024წ. გადაწყვეტილებით სახელმწიფო
- შესყიდვის შესახებ 2022 წლის 14 იანვრის N9 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემცირდა
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული შპს ,,არ სი ქონსთრაქშენ"-ის
- გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და განისაზღრა 4078 (ოთხიათასსამოცდათვრამეტი)

- ლარისა და 08 (რვა) თეთრის ოდენობით, ს.ს.ი.პ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს ,,არ სი
- ქონსთრაქშენ"-ის სასარგებლოდ დაეკისრა 142436 (ასორმოცდაორიათას ოთხასოცდათექვსმეტი)
- ლარისა და 69 (სამოცდაცხრა) თეთრის გადახდა, სახელმწიფო ბაჟის 4640
- (ოთხიათასექვსასორმოცი) ლარის და 50 (ორმოცდაათი) თეთრისა და წარმომადგენლობის
- დახმარებიათვის გაწეული ხარჯი 5 000 (ხუთიათასი) ლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო
- სასამართლოს 2025 წლის 25 თებერვლის N2/ბ-1360-2024წ. გადაწყვეტილება 08/07/2025 წელს
- გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. გადაწყვეტილება ჯერ არ ჩაგვბარებია.
- 3) შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი“-ს ადმინისტრაციული სარჩელი საქმე N3/58-23წ. მოპასუხე საჯარო
- რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია საქმეში ჩართულია მესამე პირად. საჩხერის რაიონული
- სასამართლოს 2024 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი“-ს
- ადმინისტრაციული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მხარემ საჩხერის რაიონული
- სასამართლოს 2024 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო
- სასამართლოში. საქმე დასრულდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, შპს ,,ჯორჯიან
- მანგანეზი“-ს ადმინისტრაციული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება მოსარჩელე
- მხარეს არ გაუსაჩივრებია.
-
- 4) ემზარ ჩუბინიძის სარჩელი მოპასუხეების სოკარ ჯორჯია გაზსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის
- მერიის მიმართ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჭიათურა, გიორგაძის ქუჩაზე
- განთავსებული შენობა-ნაგებობით შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“-ს კუთვნილი გაზსადენებისა და
- გამანაწილებელი ქსელისაგან გამონთავისუფლება. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2022 წლის
- 21 ივლისის N2/337- 21 წ. გადაწყვეტილებით ემზარი ჩუბინიძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 09 აგვისტოს N2/ბ-834-2022 განჩინებით
-
- 4
- უცვლელი დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო
- სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს
- სასამართლოში. უზენაეს სასამართლოს 2025 წლის 10 თებერვლის განჩინებით ემზარ ჩუბინიძის
- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.
-
- 5) 02.07.2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა შესაგებელი
- სამოქალაქო საქმეზე შპს " ენ - დი როუდი "- ს მიმართ შესრულებული სამუშაოების ღირებულების
- ანაზღაურების თაობაზე. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს " ენ - დი როუდი "- ს
- შორის გაფორმებული 2022 წლის 27 აპრილს N133 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქალაქ
- ჭიათურაში ჭავჭავაძის ქუჩის ტროტუარის და გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს. საქმე განხილვის
- პროცესშია საჩხერის რაიონულ სასამართლოში.
- 6) 27.11.2024 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა შესაგებელი
- სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელე შპს " ენ - დი როუდი "- ს მიმართ (დავის საგანი -
- პირგასამტეხლოს დაკისრება). ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს " ენ - დი როუდი "- ს
- შორის გაფორმებული 2023 წლის 30 თებერვლის N76 ხელშეკრულება ითვალისწინებდა
- ჭიათურის მუნიციპალიტეტში გურაბანიძეებიდან სოფელ ვაკევისამდე გზის რეაბილიტაციის
- სამუშაოებს. 2025 წლის 11 სექტემბრის N2/625-2024წ გადაწყვეტილებით საჩხერის რაიონულმა
- სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მათ სასარგებლოდ დაგვეკისრა თანხა
- 280,054,31 ლარი. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის 10 ოქტომბერს
- გასაჩივრებული იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საქმე
- განხილვის პროცესშია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.
-

- 7) შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი“-ს ადმინისტრაციული სარჩელი საქმე N3/58-23წ. მოპასუხე საჯარო
- რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია საქმეში ჩართულია მესამე პირად. საჩხერის რაიონული
- სასამართლოს 2024 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი“-ს
- ადმინისტრაციული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მხარემ საჩხერის რაიონული
- სასამართლოს 2024 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო
- სასამართლოში. საქმე დასრულდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, შპს ,,ჯორჯიან
- მანგანეზი“-ს ადმინისტრაციული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
-
- 5
- 8) 28.03.2024 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავა სარჩელი
- სამოქალაქო საქმეზე შპს ,,მარტვილ მშენი“-ის მიმართ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და
- სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე,
- თანხით, 10061.13 ლარი. საჩხერის რაინული სასამრთლოს 2025 წლის 20 თებერვლის
- გადაწყვეტილებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს ,,მარტვილ
- მშენი“-ის მიმართ დაკმაყოფილდა და შპს ,,მარტვილ მშენი“-ს ჭიათურის მუნიციპალიტეტის
- მერიის მიმართ დაეკისრა 10061.13 ლარის გადახდა. მოპასუხის მიერ საჩხერის რაინული
- სასამრთლოს 2025 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.
- 9) 25.07.2024 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა შესაგებელი
- ადმინისტრაციულ საქმეზე ასმათ ჭანკვეტაძის, ექვთიმე ჭანკვეტაძის, ლალი ჭიტაძის, ლელა
- ჭანკვეტაძის, მერაბი ჭანკვეტაძის, ნათია ხვედელიძის მიმართ საქმეზე N3/23-24წ. საჩხერის
- რაიონული სასამართლოს 2025 წლის 05 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა
- ასმათ ჭანკვეტაძის, ექვთიმე ჭანკვეტაძის, ლალი ჭიტაძის, ლელა ჭანკვეტაძის, მერაბი
- ჭანკვეტაძის, ნათია ხვედელიძის სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა მოსარჩელის

- მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც 2025 წლის 04 აგვისტოს განჩინებით
- სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.
-
- 10) 31.01.2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს „ინფრაკონი“-ს
- (ს/კ 405259660) მიმართ N2/87-2025წ. სამოქალაქო საქმესთან
  დაკავშირებით, 2023 წლის 17
- მარტის
  N94 სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო ვადის
- განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრის თაობაზე. საქმე განხილვის პროცესშია ქუთაისის
- სააპელაციო სასამართლოში.
- 11) 31.01.2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს „მეკა" -ს მიმართ სამოქალაქო
- საქმესთან დაკავშირებით, 2023 წლის 20 თებერვლის N77 სახელმწიფო შეყიდვის
- ხელშეკრულებით (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა სოფელ რგანი და სოფელ ვაჭევის
- დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები)
  გათვალისწინებული საგარანტიო ვადის
- განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრის თაობაზე. საქმე განხილვის პროცესშია საჩხერის
- რაიონულ სასამართლოში.
- 12) 20/06/2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს „მეკა" -ს მიმართ სამოქალაქო
-
- 6
- საქმესთან დაკავშირებით, 2022 წლის 27 მაისის N156 სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულებით
- (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში საშევარდნოს კლდეზე
- გადმოსახედისა და გადმოსახედთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები)
- გათვალისწინებული საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლის
- აღმოფხვრის თაობაზე. საქმე განხილვის პროცესშია საჩხერის რაიონულ სასამართლოში.

- 13) 20.06.2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს „მშენებელი XXI" -ს მიმართ
- სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, 2021 წლის 21 სექტემბრის N252 სახელმწიფო შეყიდვის
- ხელშეკრულებით (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მე-3
- საჯარო სკოლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები)
- გათვალისწინებული საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლის
- აღმოფხვრის თაობაზე. შპს ,,მშენებელი XXI“ - ის დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ ნებაყოფლობით
- საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრა საგარანტიო ვადაში წარმოქმნილი დეფექტები და
- ნაკლოვანებები, რომელიც კონსტანტინე წერეთლის მოხსენებითი ბარათით დასტურდება.
- აღნიშნულიდან გამომდინარე 2025 წლის 10 სექტემბერს მივმართეთ საჩხერის რაიონულ
- სასამართლოს სარჩელის გახმობის თაობაზე. 2025 წლის 15 სექტემბერს საჩხერის რაიონულმა
- სასამართლომ გამოსცა განჩინება და დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა სარჩელის განუხილველად
- დატოვების თაობაზე.
- 14) 03/07/2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს „მშენებელი 2024+“ - ის მიმართ
- სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, 2024 წლის 12 ივნისის N151 (NAT240012521); 2024 წლის
- 26 ივლისის N265 (NAT240012411); 2024 წლის 26 ივლისის N266 (NAT240012414) და 2024 წლის 26
- ივლისის N268 (NAT240012417) სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული
- ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის
- დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა.
- 15) 26/06/2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე ი/მ “ რატი ცერცვაძე “- ის (ს/კ
- 54001011024) მიმართ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, 2024 წლის 24 ივლისს N260

- (NAT240012521) (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ
- ქვაციხეში ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები) და 2024 წლის 01
- აგვისტოს N271 (NAT240012418) (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჭიათურის
- მუნიციპალიტეტის სოფელ რგანში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები) სახელმწიფო შეყიდვის
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და სამუშაოების
-
- 7
- შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. საქმე
- განხილვის პროცესშია საჩხერის რაიონულ სასამართლოში.
- 16) 26/06/2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს ,,ნიუგრუპ 2023“- ის (ს/კ
- 416376843) მიმართ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, 2024 წლის 12 ივნისს N156
- (NAT240009431) სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულებით (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს ცენტრალური სასაფლაოს შემოღობვის
- სამუშაოები) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და სამუშაოების
- შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. საქმე
- განხილვის პროცესშია საჩხერის რაიონულ სასამართლოში.
- 17) 26/06/2025 წელს მომზადდა და ჭიათურის მაგისტრატ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს ,,ნორთგრუპ“-ის მიმართ
- სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, 2024 წლის 02 სექტემბრის N311 (შესყიდვის ობიექტს
- წარმოადგენდა ორი კომპლექტი საჭიდაო ხალიჩის შეძენა) სახელმწიფო შეყიდვის
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო
- პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. მიუხედავად ჩვენი მრავალი მცდელობისა ჩაგვებარებინა
- სარჩელი მოწინააღმდეგე მხარისათვის გამოდგა უშედეგო, სავარაუდოდ იმის გამო რომ კომპანიას
- არასწორი მისამართი აქვს მითითებული, მივმართეთ ჭიათურის მაგისტრატ სასამართლოს

- დახმარებისათვის რათა მხარეს ჩაბარდეს სარჩელი.სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა.
- 18) 21/07/2025 წელს მომზადდა საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე ჭიათურის
- მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს ,,ჯთბ გოლდენ ეიჯ“-ის მიმართ სამოქალაქო
- საქმესთან დაკავშირებით, 2021 წლის 22 თებერვლის N33 სახელმწიფო შესყიდვის
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლის
- აღმოფხვრის თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა.
-
- 19) 21/07/2025 წელს მომზადდა საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე ჭიათურის
- მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე შპს ,,ჯთბ გოლდენ ეიჯ“-ის მიმართ სამოქალაქო
- საქმესთან დაკავშირებით, 2021 წლის 11 ივნისის N117 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით
- გათვალისწინებული საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრის
- თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა.
- 20) 10/06/2025 წელს მომზადდა და საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოპასუხე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაგებელი მოსარჩელე შპს ,,გეგუ“-ს (ს/კ 412761845)
-
- 8
- მიმართ N2/158-2025წ. სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. (2024 წლის 18 მარტის სახელმწიფო
- შესყიდვების №123, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ქალაქ ჭიათურაში, ჭავჭავაძის ქ. NN16-ში
- და N27-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები.
- საჩხერის რაიონულ სასამართლოს 2025 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს ,,გეგუ“-ს
- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილება ჭიათურის
- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სხდომა ჯერ
- არ ჩანიშნულა.
- 21) 26/06/2025 წელს მომზადდა და ჭიათურის მაგისტრატ სასამართლოში გაიგზავნა მოსარჩელე
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი მოპასუხე ი/მ ,,მერაბ ხვედელიძე“- ის (ს/კ

- 54001008225) მიმართ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, 2024 წლის 26 ივლისს N267
- (NAT240012416) (შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ
- მერევში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები) სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულებით
- გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და სამუშაოების შესრულების გეგმა-
- გრაფიკის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. საქმე დასრულდა ჭიათურის
- მაგისტრატ სასამართლოში. გადაწყვეტილება ჯერ არ ჩაგვბარებია.
- 22) საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა მოპასუხე შპს "მედიატორი“-ს მიმართ სარჩელი
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის და ხელშეკრულებით
- გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების
- თაობაზე. 2024 წლის 30 აპრილს გაფორმებული N135 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- ხელშეკრულება (NAT240005050) ითვალისწინებდა ჭიათურაში, რკინიგზის მიმდებარედ
- საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას. ამ ხელშეკრულების
- ფარგლებში შპს "მედიატორი“-ს მიერ დარღვეულია ხელშეკრულების მე- 13 მუხლის პირველი და
- მეორე ქვეპუნქტები, რის გამოც დაჯარიმდა ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების
- ღირებულების 137141,05-ის 5%-ით 6857,05 ლარით და გეგმა გრაფიკის დარღვევისათვის
- 787877,6 ლარით. სულ ჯამში 794734,65 საჩხერის რაიონულ სასამართლოში სხომა ჯერ არ
- ჩანიშნულა.
-
- იურიდიული განყოფილების მიერ 2025 წლის განმავლობაში ჭიათურის მუნიციპალიტეტის
- საკრებულოში წარდგენილ იქნა შემდეგი საკითხები:
- 1. ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებით, ა(ა)იპ „ჭიათურის
- მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის N1 სამუსიკო სკოლის“-ა და ა(ა)იპ „ჭიათურის
-
- 9

- მუნიციპალიტეტის გივი თხელიძის სახელობის N2 სამუსიკო სკოლის“ გაერთიანების გზით
- შერწყმაზე თანხმობის გაცემის შესახებ;
- 2. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გრანტის მიღების შესახებ თანხმობის გაცემის
- საკითხი. კერძოდ, პროექტ „ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების სერვისების
- გაუმჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ფარგლებში ადრეული ბავშვობის
- ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების გაუმჯობესების საგრანტო კონკურსის
- მოთხოვნების განხორციელების მიზნით, საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის
- ფილიალისგან მიიღოს ნატურალური ფორმით გრანტი 17 957 ლარის ღირებულების მოტორული
- განვითარების ხელშემწყობი ივენტარი ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებულის საბავშვო ბაღისთვის“
- გადასაცემად;
- 3. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი
- ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით
- მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობების ნუსხის დამტიკცებისა და
- სააგიტაციო მასალის გასაკრავად შესაბამისი ადგილების გამოყოფის შესახებ;
- 4. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების
- შესახებ;
- 5. „ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების
- შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის N17
- დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. კერძოდ: „ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის
- ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის
- მუწიციპალიტეტის საკრებულოს 04.10.2019 წლის N17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge
- სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.129.016326) ცვლილება:
- ა) შეიცვალოს დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ჭიათურის მუწიციპალიტეტის
- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს
- შემდეგი რედაქციით:
- „ვ) წინადადებების შემუშავება ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე“;

- ბ) შეიცვალოს დადგეწილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ჭიათურის მუნიციპალიტეტის
- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის „ვ“ პუწქტი და ჩამოყალიბდეს
- შემდეგი რედაქციით:
- „ვ) წინადადებების შემუშავება ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე“.
-
- გრძელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პატარიძის ქუჩა N13-ში არსებული
- ავარიული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსიდან გამოსახლებული მოსახლეობის მიერ
- საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციების წარმოდგენა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ შეფასებული ქონების საბაზრო ღირებულების
- შესაბამისად დასკვნის საფუძველზე შესაბამისი პროცედურების განხორციელება.
- მიმდინარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში 2022 წლის მარტში განვითარებული
- გეოდინამიკური პროცესების შედეგად დაზიანებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთებისა და საცხოვრებელი
-
- 10
- სახლების მფლობელებისათვის ზიანის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების მიღებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

● ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილება

2025 წლის განმავლობაში იურიდიულ განყოფილებას ხელმძღვანელობიდან დაეწერა სხვადასხვა

ინსტანციებიდან და მოქალაქეებიდან შემოსული განცხადებები, რომლებიც მოკვლეული და შესწავლილი

იქნა, რაზეც მომზადდა შესაბამისი პასუხები კანონით დადგენილ ვადებში.

ახდენენ მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში, სამართლებრივ

ურთიერთობებში - სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

● ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური საქმიანობას ახორციელებდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად. წლის განმავლობაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნა მრავალფეროვანი და საინტერესო კულტურული ღონისძიებებით.

ქეთევან დედოფლის საიუბილეო წლის ფარგლებში შეიქმნა ოთხი ხელნაწერი წიგნი, რომელთა გამოფენა გაიმართა დედოფლისადმი მიძღვნილი ღონისძიების დღეს. ასევე მოეწყო ცნობილი პოეტის, ქეთევან შენგელიასადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა ჭიათურა-საჩხერის მწერალთა გაერთიანების პროექტი „ცოცხალი წიგნები“. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი ჩართული იყო კულტურის სამინისტროს პროექტში „თაობიდან თაობამდე“, როგორც პირველ, ისე მეორე ეტაპზე. აღნიშნული ღონისძიებები გაიმართა ფილარმონიასა და გრიბოედოვის თეატრში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საამაყო ინიციატივას წარმოადგენს წარჩინებული ჭიათურელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებული მოსწავლეების დაჯილდოება. დაჯილდოვდნენ საჯარო სკოლების ის მოსწავლეები, რომლებმაც სწავლა ოქროსა და ვერცხლის მედალზე

დაასრულეს. ჯამში დაჯილდოვდა 45 მოსწავლე, მათ შორის 41 ოქროს მედალოსანი და 4 ვერცხლის მედალოსანი. აღნიშნული მიზნით გაიცა 5 650 ლარი.

მუნიციპალიტეტში ყოველთვიურად მიმდინარეობს სკოლების სატრანსპორტო მომსახურების ტაბელების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

ჩატარდა მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული კალიგრაფიის, მხატვრული კითხვისა და ესეების კონკურსის პირველი ტური.

ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით იმართება სოციალური ხასიათის საზაფხულო ბანაკი პერევისაში, სადაც საშუალოდ 25 სოციალურად დაუცველი ბავშვი ისვენებს.

2025 წელს ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაჯილდოვდა დაახლოებით 100 სპორტსმენი და მათი მწვრთნელები, რისთვისაც ჯამში გამოიყო 50 000 ლარი. აღსანიშნავია სპორტული მიღწევები:

- **ერეკლე ტაბატაძე** – ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის **მეორე ადგილი**;
- **ლაშა გაგნიძე** – კრივში ევროპის ჩემპიონატის **მესამე ადგილი**;
- **მარიამ ცეცხლაძე** – ძალისმიერი სამჭიდის ევროპის ჩემპიონატის **მესამე ადგილი**.

ამასთანავე, დაჯილდოვდა 4 წარჩინებული სტუდენტი – ჯამში 4 000 ლარით, ხოლო 3 წარმატებული ახალგაზრდა – 5 500 ლარით.

კულტურის ცენტრი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

დედის დღესთან დაკავშირებით გაიმართა სპეციალური ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც პედიატრმა, ნუტრიციოლოგმა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო თოთაძემ წარადგინა საავტორო წიგნი „რეკომენდაციები ჩემზე“.

გაიმართა სიყვარულის თემატური საღამო ,,გაზაფხულის ბრალია“, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაში განსაკუთრებული ინტერესია გამოიწვია.

ჩატარდა პოეტ აკაკი გაბრიჭიძის შემოქმედებითი საღამო – *,, პოეზია ჩემი გზაა, ჩემი განაჩენია“*.

ასევე მოეწყო იტალიელი მწერლის ჯანი როდარის სამი წიგნის პრეზენტაცია, რომლებიც ქართულ ენაზე თარგმნა ჩვენს თანაქალაქელმა ნათია აბრამიშვილმა.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში ჩატარდა 16 საქორწილო რიტუალი.

ღონისძიების უზრუნველყოფისა და თეატრალური ხელოვნების განყოფილება

ჩატარდა- გიორგი ცაბაძის 100 წლისთავისადმი მიძღნილი ღონისძიება.

კვარტეტ ,,ჭიათურას“, მუსიკალური ალბომის ,,სიყვარულით ნამღერი“-ს პერეზენტაცია.

სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბ ,,ჩანგის“ საანგარიშო კონცერტი, მოეწყო ჩვენი თანაქალაქელის სალომე ტაბატაძის წიგნის ,,სამი დეტექტივი“პრეზენტაცია.

წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ქუჩის გამოკითხვა. მონაწილე რესპოდენტებს კი სიმბოლურად გადაეცათ ჩვენი თანაქალაქელის საავტორო წიგნი ,,ერთად შევცვალოთ სამყარო“.

მოეწყო ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება

● კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმთა გაერთიანების განყოფილება

მიმდინარე წლის 11 თებერვალს ჭიათურის კულტურის ცენტრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ორგანიზებით, სოფელ ხრეითში, მთამსვლელ ჯაფარიძეთა სახლ-მუზეუმში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა პირველ ქართველ ქალ მთასვლელს, ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს ალექსანდრა ჯაფარიძეს, მისი დაბადებიდან 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

20 მაისს ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტის, ჩვენი თანაქალაქელი ახალგაზრდა მხატვრის სერგო ბრეგვაძის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „ფერების ლაბირინთი ანუ სამყაროს შეგრძნება“.

22 მაისს კულტურის ცენტრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სივრცეში ჩატარდა საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმისა **და** ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი გამოფენა „ძველი ჭიათურა“.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს კოორდინაციით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქედის ხანდაზმულთა კლუბსა და ჭიათურის კულტურის ცენტრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის, რაც მიზნად ისახავს კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავებას.

მუზეუმის წარმომადგენლების მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჭიათურის უნიკალურ ტურისტულ პოტენციალს.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებით, კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მემორიალთან, მოეწყო ფოტო-გამოფენა, რომლის ფარგლებში გაიმართა 1924 წლის ისტორიული მოვლენების მიმოხილვა.

ჩატარდა პრეზენტაცია -“ ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ეპოქა ჭიათურაში“ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყვნენ ის თვალსაჩინო ადამიანები, რომლებმაც ღირსეულად წარმოაჩინეს ჭიათურა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ .
დღეის მონაცემებით მუზეუმში ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს 1513 ადამიანს.

● კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილება

1. იანვარ–თებერვალში საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო მეწარმეების, სასტუმროებისა და კვების ობიექტების მონაცემთა ბაზების განახლება. სამსახურმა 2025 წლის დაგეგმილი ღონისძიებების ერთიანი კალენდარი. აღნიშნული მასალა და განახლებული მონაცემები გადაეგზავნა ქუთაისის დანიშნულების მართვის ორგანიზაციას (DMO), ჩვენი ტურისტული პროდუქტების ცნობადობის ამაღლების მიზნით. DMO-ს საშუალებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია ტურიზმით დაინტერესებული ნებისმიერი პირის თუ ორგანიზაციისათვის.

2. თებერვლიდან დაიწყო სამწლიანი პროექტი, რომლის მიზანია ჭიათურის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის შექმნა. ბაზა მოიცავს დეტალურ ინფორმაციის თითოეული თემის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული, ისტორიული და კულტურული პოტენციალის წარმოჩენასა.
3.
4. ჭიათურის მუნიციპალიტეტს ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ჭოუ ციენი, დიპლომატიურ კორპუსთან ერთად. თანამშრომლობა დღემდე გრძელდება. მივიღეთ მონაწილეობა საელჩოს არაერთ ღონისძიებაში. სამომავლოდ იგეგმება ჭიათურის დამეგობრება ჩინეთის იმ ქალაქთან, რომელიც მსგავსად ჩვენს მუნიციპალიტეტსა, მდიდარია წიაღისეულით. ასევე მოსალოდნელია თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.
5. კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-16 საერთაშორისო გამოფენაში „EBIT 2025“.
   გამოფენა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ჩვენი მონაწილეობა პირველი იყო საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებაზე.
6. დავიწყეთ ციფრული ჟურნალის „ჭიათურა წარსულსა და მომავალში“ გამოცემა, რომლის მიზანია ჭიათურის ტურისტული პოტენციალის გაძლიერება და თანამედროვე ჭიათურის ინდუსტრიულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული წარმოჩენა. წლის განმავლობაში გამოიცა 3 ნომერი.
7. 5 ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, კაცხის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების ორგანიზებით ჩატარდა ეკო-აქცია.

8. ტურიზმის განყოფილების ინიციატივით დაიწყო პროექტი, რომლის მიზანია ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაცია ფოლკლორული ელემენტების გამოყენებით. ვიდეოკლიპის გადაღება, რომელშიც ასახულია ქალაქის მნიშვნელოვანი ტურისტული სივრცეები. პროექტის პირველი ეტაპი – ქალაქის ლოკაციები – გაგრძელდა სამი თვის განმავლობაში. მომდევნო ეტაპზე გადაიაღებენ სოფლის ტერიტორიაზე არსებულ ლოკაციებსაც.
9. 28 ივლისს, ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი მიწვეული იყო ჩინეთის საელჩოში ჩინეთის სახალხო- განმათავისუფლებელი არმიის 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მიღებაზე.

10. 8 სექტემბერს, ეკონომიკის სამინისტროს დავალებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მცირე ინფრასტრუქტურის სააგენტოს წარმომადგენელთან, ბატონ გიორგი მალაშხიასთან ერთად, განხორციელდა დაზვერვითი სამუშაოები მშვიდობის საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიაზე.
11. სექტემბერში განხორციელდა სახალხო დღესასწაული „მესვეტეობა 2025“, რომელიც ტურიზმის განყოფილების ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით ტარდება. დასწრებას ესწრებოდნენ DMO-ს წარმომადგენლები და თბილისელი გიდები.
12. ტურიზმის განყოფილება ჩართული იყო სოფელ ტყერმლოვანაში გამართულ სახალხო დღესასწაულ „თემობაში“. ხაშურის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროექტის: „ჭიათურა — ისტორიის, ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის გზაჯვარედინზე“ ფარგლებში. განიხილეს სამოქმედო გეგმა და პროექტის ძირითადი მიმართულებები.
13. ჭიათურობის კვირეულის ფარგლებში გაიმართა ღონისძიებები, მათ შორის: პრეზენტაცია-„უცნობი ფურცლები ჭიათურის ისტორიიდან“ (მომზადებული საქართველოს ეროვნული არქივის მასალებზე); თემატური გამოფენა კულტურის ცენტრის ფოიეში; „ვია ფერატას“ გახსნა; კვების ახალი ობიექტის პრეზენტაცია ტურისტულ ლოკაციაზე; 27 ოქტომბერი — „ჭიათურქალაქობა“, სადაც მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.
14. ტურისტული პოტენციალის რეკლამირების მიზნით კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილებამ მოამზადა ვიდეოკლიპი, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის გამორჩეულ ლოკაციებსა და ადგილობრივ ფოლკლორს.
15. ნოემბერში თანამშრომლებმა გაიარეს DMO იმერეთის მიერ ორგანიზებული ტრენინგები თერჯოლაში და საჩხერეში (ტრენერი — ნიკოლოზ წულუკიძე).
16. ტურიზმის საინფორმაციო სამსახურმა უმასპინძლა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადამღებ ჯგუფს. გავუწიეთ ორგანიზება ტურისტული ობიექტების შერჩევასა და ვიზიტებს, მოვამზადეთ თემატური ინფორმაცია და ინტერვიუები.

სასწავლო-საგანმანათლებლო სამსახური

კულტურის ცენტრთან არსებული საკლუბო დაწესებულებები კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას მოსწავლეთა მწირი კონტიგენტის მიუხედავად.
სოფ. ზოდის საკლუბო დაწესებულებაში სწავლობს - 31 მოსწავლე. ქართული ხალხური ცეკვები - 29 მოსწავლე ;

ზ.ანჯაფარიძის სახ.სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულება - 2 მოსწავლე.
სოფ. დარკვეთის საკლუბო დაწესებულებაში სწავლობს - 7 მოსწავლე.

ზ.ანჯაფარიძის სახ.სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულება საფორტეპიანო - 3 მოსწავლე და სოლო სიმღერა - 4 მოსწავლე;
სოფ. რგანის საკლუბო დაწესებულებაში სწავლობს - 43 მოსწავლე .

ქართული ცეკვების სამოყვარულო სტუდია ,,ასა“ - 25 მოსწავლე;

ზ.ანჯაფარიძის სახ.სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულება - 5 მოსწავლე; ქართული ხალხური სიმღერა და საგალობლები- 13 მოსწავლე;

სოფ. ითხივის საკლუბო დაწესებულებაში სწავლა-სწავლების პროცესი არ ორციელდება, დაწესებულებაში არსებული სარემონტო მდგომარეობის გამო.
2025 წლის განმავლობაში კულტურის ცენტრთან არსებული სკოლების და სტუდიების მოსწავლეებმა, მთელი წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღეს 28 ფესტივალ-კონკურსში და 36 შიდა და საქალაქო ღონისძიებებში.
სკოლებისა და სტუდიების მიხედვით წარმოგიდგენთ განვლილ აქტივობებს:

1. ი.სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა:

ანსამბლი ,,ჭიათურა XXI საუკუნე“ (პედაგოგი ნონა თუთარაშვილი, თამაზ ბრეგვაძე):

26 მარტს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის მიერ, ხონის კულტურის ცენტრში, ჩატარდა ფესტივალი „იმერეთის გაზაფხული ხონი 2025“ . ანსამბლის ,,ჭიათურა XXI საუკუნე“ ხელმძღვანელებს გადაეცათ მედალი, დიპლომი და ფესტივალის პრიზი. ანსამბლის წევრები კი დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით.

8 ივნისს, თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის დარბაზში, ჩატარდა ანსამბლის „ოქროს თაობის“ სოლისტის თამაზ ჟორჟოლიანის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ფესტივალი „ჩონგური საქართველოა“. ფესტივალზე „საპატიო მონაწილის“ სტატუსით იმყოფებოდა ანსამბლი „ჭიათურა XXI საუკუნე“ . მოცეკვავეებს ინდივიდუალურად გადაეცათ მედლები და დიპლომები.ანსამბლი დაჯილდოვდა სამახსოვრო პრიზით და დიპლომით.

2 ივლისს რაჭის კულტურის სახლში, ონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით, გაიმართა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კავკასია 2025“. აღნიშნულ ფესტივალში, ქორეოგრაფთა კავშირის მიწვევით, მონაწილეობდა ანსამბლი „ჭიათურა XXI საუკუნე“ . ანსამბლი დაჯილდოვდა ფესტივალის სახელობითი პრიზით, მოცეკვავეებს კი

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის გადაეცათ ლაურეატის წოდების დიპლომები.

.

23 ნოემბერს ქალაქ მცხეთის კულტურის ცენტრში, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის ორგანიზებით, გაიმართა ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალი „იმერეთის შემოდგომის ფერები“. ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „ჭიათურა XXI საუკუნე“. ანსამბლი დაჯილდოვდა ფესტივალის სპეციალური პრიზით, დიპლომით. თითოეულ მოცეკვავეს გადაეცა დიპლომი და მედალი. „ჭიათურა XXI“ -ს ხელმძღვანელი თამაზ ბრეგვაძე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (65 წელი) დაჯილდოვდა ქორეოგრაფთა კავშირის სიგელით. ანსამბლის მუსიკოსი მამუკა ასანიძე ქართული ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა ქორეოგრაფთა კავშირის სპეციალური სიგელით „დამსახურებული მუსიკოს-აკომპანიატორი“.

18 მაისს წყალტუბოს კულტურის ცენტრში, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის მიერ, გაიმართა გიორგი ტყვაცირიას სახელობის ფესტივალი „არდავიწყება მოყმისა“, სადაც მიწვეული იყო ანსამბლი „ჩემი სიამაყე“ . ანსამბლმა „საუკეთესო შესრულებისთვის“ დაიმსახურა დიპლომი და სამახსოვრო პრიზი. ანსამბლის მოცეკვავეებს ინდივიდუალურად გადაეცათ დიპლომები და მედლები

8 ივნისს, თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის დარბაზში, ჩატარდა ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის აკადემიური ანსამბლის „ოქროს თაობის“ სოლისტის თამაზ ჟორჟოლიანის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ფესტივალი „ჩონგური საქართველოა“. ფესტივალზე „საპატიო მონაწილის“ სტატუსით ანსამბლი „ჩემი სიამაყე“. მოცეკვავეებს ინდივიდუალურად გადაეცათ მედლები და დიპლომები. ანსამბლი დაჯილდოვდა სამახსოვრო პრიზით და დიპლომით.

7 და 8 ივლისს, სამოყვარულო ცეკვის წრის მოსწავლეები, რგანის საკლუბო დაწესებულებიდან და კულტურის ცენტრიდან იმყოფებოდნენ ბათუმის საზაფხულო თეატრში გამართულ ფესტივალზე „GOLD STAR-2025“. მოცეკვავეები წარმატებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე, დაჯილდოვდნენ ფესტივალის თასით, დიპლომებით და მედლებით. სამოყვარულო ცეკვის წრის მოსწავლეებმა მიიღეს მიწვევა ანტალიასა (რგანი) და ალანიაში (კულტურის ცენტრი).

2. სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების სტუდიები:

- ,,დანს ფორუმი” (პედაგოგი ლია ნეფარიძე):

4 თებერვალს - სტუდია „დანს ფორუმი“ იმყოფებოდა თბილისში კონკურსზე "ვარსკვლავების თასი 2025" . მოცეკვავეები I, II, III ადგილის მფლობელები გახდნენ, დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით. პატარა მოცეკვავეებმა სხვადასხვა ხარისხის დიპლომები მოიპოვეს. აღნიშნულ კონკურსზე მიმდინარე წელს პირველად შესრულდა "ამერიკული სმუზი" და მონაწილეებმა I, II ადგილები დაიმსახურეს.

3 მარტს - სტუდიამ ,,დანს-ფორუმი“ ღია გაკვეთილით მოგვილოცა დედის დღე!

10 მარტს - სტუდია „დანს ფორუმი“ იმყოფებოდა თბილისში კონკურსზე “STAY STRONG CUP 2025”. მოცეკვავეები I, II, III ადგილის მფლობელები გახდნენ, დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით და თასით. 1 ივნისს - ,,დანს ფორუმი” მოსწავლეები მონაწილეობდნენ ჭიათურაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში მრავალფეროვანი გასართობ და შემოქმედებითი აქტივობებში.

18 ივნისს- სტუდია „დანს ფორუმი“ იმყოფებოდა ფესტივალზე „კოლხეთის თასი 2025“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების მოყვარული და პროფესიონალი მოცეკვავეები. სტუდიის მოცეკვავეებმა წარმატებით იასპარეზეს, მოიპოვეს ფესტივალის 3 თასი, I-II-III ადგილები და პატარა მოცეკვავეებმა I-II-III ხარისხის დიპლომები.

25 ივნისს - კულტურის ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სტუდია "დანს ფორუმი"-ს კონცერტი.

7 ივლისს - ბათუმში აჭარის თანამედროვე სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა ტრადიციული „ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი ბათუმი 2025“. ფესტივალში მონაწილეობდნენ-საბერძნეთის, გერმანიის, იტალიის, ყაზახეთის, სომხეთის, მოლდოვისა და უკრაინის მსაჯთა საერთაშორისო კოლეგია და მოცეკვავეთა ჯგუფები. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა მასტერკლასები, როლებსაც მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავეები უძღვებოდნენ. აღნიშნულ ფესტივალზე, სტუდია „დანს ფორუმი“-ს მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს და დამსახურებულად მოიპოვეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები.

28 სექტემბერს- სოფელ ტყემლოვანაში სახალხო დღესასწაული „თემობა 2025-ს“ გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა სტუდია, ,,დანს ფორუმი“.

ჭიათურობა- 2025“ -ის ფარგლებში, 25 ოქტომბერს სტუდია ,,დანს ფორუმი“ მონაწილეობდა საქალაქო კონცერტში.

26 ოქტომბერს ჭიათურაში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ჭიათურობა 2025" გაიმართა. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა სტუდია, ,,დანს ფორუმი“.

2 ნოემბერს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ტურნირი „წალენჯიხა 2025“. ტურნირში მონაწილე სტუდია „დანს ფორუმი“ -ს მოცეკვავეებმა წარმატებით იასპერეზეს და დამსახურებულად მოიპოვეს I, II, III ადგილები და თასები, როგორც ინდივიადუალურ, ასევე მასიური შოუ ნომერის შესრულებისთვის.

30 ნოემბერს- საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონელთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით თბილისში ჩატარდა სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების ტრადიციული შეჯიბრის „შემოდგომის თბილისი 2025“-ის სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირი. ტურნირში მონაწილე სტუდია „დანს ფორუმი“-ს მოცეკვავეებმა წარმატებით იასპერეზეს და დამსახურებულად მოიპოვეს I, II, III ხარისხის დიპლომები, ადგილები და მედლები.

.

10 მარტს- სტუდია ,,ელეგანტი'' იმყოფებოდა თბილისში კონკურსზე „Spring dance festival 2025“. სტუდიის მოცეკვავეებმა წარმატებულად იასპარეზეს და დაიკავეს I, II, III საპრიზო ადგილები, ასევე დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში მედლებით და თასით.

31 მარტს- პოლონეთში (ქ.კრაკოვში) ჩატარდა „IDSA WORLD CUP“ მსოფლიო ჩემპიონატი სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში. ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად (გერმანია, იტალია, საბერძნეთი, ამერიკა, მოლდოვა, პოლონეთი, უკრაინა, ლიტვა, საქართველო) მონაწილეობდა სტუდია “ელეგანტი“-ს სამი მოცეკვავე . მოცეკვავეები თავიანთ ასაკობრივ კატეგორიაში გახდნენ ფინალისტები და მოიპოვეს I, II, III საპრიზო ადგილები.

17 აპრილი- სტუდია „ელეგანტი“ იმყოფებოდა სომხეთში ქალაქ ერევანში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატზე. მოცეკვავეებმა წარმატებით იასპარეზეს, სხვადასხვა კატეგორიაში მოიპოვეს I, II, III ადგილები და თასი. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სტუდიის ხელმძღვანელს გურანდა ბაზღაძეს მონაწილეობისთვის სპეციალური პრიზი გადასცეს.

18 მაისს- ზუგდიდში გაიმართა სამეჯლისო-სპორტული ცეკვების კონკურსი ,,საქართველოს თასი 2025“. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოცეკვავეები, მათ შორის სტუდია „ელეგანტი“ . სტუდიის მოცეკვავეებმა წარმატებით იასპარეზეს და დამსახურებულად მოიპოვეს საპრიზო ადგილები და თასი.

13 ივლისს ქ.ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია ჩემპიონატი „Batumi Sumer Cup 2025“. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ სომხეთის წარმომადგენლები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული სტუდიები; ასევე პროფესიონალი მსაჯები, მათ შორის „ელეგანტის“ პედაგოგი გურანდა ბაზღაძე. ფესტივალში მონაწილე სტუდია "ელეგანტის" მოცეკვავეებმა წარმატებით იასპარეზეს აღნიშნულ კონკურსზე და დაიმსახურეს I, II, III საპრიზო ადგილები. სალომე თურმანიძემ კი მოიპოვა კონკურსის თასი.

28 სექტემბერს- სოფელ ტყემლოვანაში სახალხო დღესასწაული „თემობა 2025-ს“ გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა სტუდია, ,,ელეგანტი“.

ჭიათურობა- 2025“ -ის ფარგლებში, 25 ოქტომბერს სტუდია ,,ელეგანტი“ მონაწილეობდა საქალაქო კონცერტში. 26 ოქტომბერს ჭიათურაში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ჭიათურობა 2025" გაიმართა. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა სტუდია, ,,ელეგანტი“.

12 დეკემბერი - საახალწლო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღია გაკვეთილი.

13 დეკემბერი - ქ. თბილისი, ,,Badali Wedding Hall-ს ‘’,,ევენთ ჰოლი’’ 10-ე ტრადიციული ღია საერთაშორისო ჩემპიონატი ,,Georgia Open 2025”, სადაც მიწვეულია სტუდია ,,ელეგანტი“.

3. გივი მოდებაძის სახელობის ბავშვთა თეატრალური სტუდია ,,ცისკარა” (პედაგოგი თინა მიქაუტიძე)

4 თებერვლს- სტუდია ,,ცისკარა“ მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდა დაბა ბაკურიანში ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურ ფესტივალზე ,,ფანტელი“ .სტუდია ფესტივალზე წარსდგა ორი სპექტაკლით: გივი მოდებაძის „თამრიკო და ბეკეკა", რაფიელ მამულაშვილის „ჩემი ანგელოზები". მონაწილეები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციებით. თეატრალურმა სტუდიამ დაიმსახურა ფესტივალის საპატიო დიპლომი და სიმბოლური ჯილდო.

5 თებერვალი- სტუდია ,,ცისკარა“-ს მოსწავლეების და შემოქმედებითი ჯგუფის დაჯილდოვება გაიმართა კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში. სტუდიის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ფრაგმენტები სპექტაკლიდან ,,ჩემი ანგელოზები“.

8 აპრილს- სტუდია "ცისკარა"-მ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს სპექტაკლით " ჩემი ანგელოზები" უმასპინძლა. სპექტაკლმა და სტუდიის აღსაზრდელებმა მაყურებლის დიდი მოწონება და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

23 მაისს- სტუდია „ცისკარა“ (უმცროსი თაობა) მიწვევით იმყოფებოდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ქიზიყი 2025“. თეატრალურმა სტუდიამ ფესტივალზე წარადგინა გივი ჭიჭინაძის პიესა „ციცქნა იას დღეობა“. ჟიურის გადაწყვეტილებით „ცისკარამ“ დაიმსახურა ნომინაციები: „საუკეთესო მუსიკალური გაფორმება“, „საუკეთესო ქორეოგრაფია“, „ყველაზე პატარა მონაწილე“ (ია)-ნია ბრეგვაძე, „ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულება“-გიორგი ნოზაძე. თეატრალურ სტუდიას ასევე გადაეცა ფესტივალის სიმბოლური პრიზი.

4 ივნისს - სტუდია „ცისკარას“ სპექტაკლი „თამრიკო და ბეკეკა“ გაიმართა კულტურის ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზის სცენაზე. აღსანიშნავია, რომ პიესა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს გივი მოდებაძეს და ნახევარ საუკუნეზე მეტია არ კარგავს აქტუალობას.

23 ივნისს - კულტურის ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზის სცენაზე გივი გორხელაშვილის პიესა (ზღაპარი) " ალხანა და ჩალხანა" წარმოადგინა სტუდია „ცისკარას" მოსწავლეებმა.

30 ივნისი - 5 ივლისს - სტუდია „ცისკარა“ იმყოფებოდა ბაკურიანში გამართულ ფესტივალზე „მზიანი საქართველო“. „ცისკარამ“ ფესტივალზე წარადგინა -გივი გორხელაშვილის პიესა (ზღაპარი) "ალხანა და ჩალხანა" და რაფიელ მამულაშვილის გახმაურებული პიესის („მერხებზე ანგელოზები სხედან“) მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ჩემი ანგელოზები“.თეატრალური სტუდია დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზით და ხელოვნების დარგში მიღწეული წარმატებებისთვის მიენიჭა

„სამეფო ფერხულის“ წოდება. ეროვნულ კულტურული ტრადიციების დამკვიდრების და ზნეობრივ-ესთეტიკური ინტერესების განვითარებისთვისათვის სტუდიის პედაგოგს თინა მიქაუტიძეს და მის მოსწავლეებს გადაეცათ დიპლომები, ასევე ფესტივალის მონაწილეებმა დაიმსახურეს სხვადასხვა ნომინაცია.

18 ნოემბერს- სტუდია „ცისკარამ“ ახალი თეატრალური სეზონი გახსნა სპექტაკლით „ალხანა და ჩალხანა“. სპექტაკლს ესწრებოდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები.

4 დეკემბერს- სტუდია „ცისკარა“ მაყურებლის წინაშე წარსდგა სპექტაკლით „გამოცდა“ (რაფიელ მამულაშვილი). პრემიერას ესწრებოდნენ-ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი თემურ ჭუმბურიძე, განათლების სფეროს წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

26 დეკემბერი- კულტურის ცენტრის თოჯინების თეატრის სცენა- სპექტაკლი ,,ურჩი წკიპა”.

 29 დეკემბერი- კულტურის ცენტრის თოჯინების თეატრის სცენა- სპექტაკლი ,,ჭინჭრაქა”.

4. ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა:

21 მარტი - ,,იპოვე შენი ვარსკვლავი" ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ხელოვნების XVII რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეებმა (პედაგოგი კესო ჭიღლაძე). 31 მარტს - ,,მომავლის ვარსკვლავები" კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეებმა (პედაგოგი კესო ჭიღლაძე).

5 აპრილს - საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეთა მიღწეული წარმატებები ქართული კლასიკური მუსიკის IX ეროვნულ კონკურსზე: ლიზი გაბრიჭიძე- II ადგილი (პედ. კესო ჭიღლაძე) ანდრია მუმლაძე- დიპლომი (პედ. კესო ჭიღლაძე) ანა ბიწაძე და გიორგი კვანტიძე (საფორტეპიანო ანსამბლი)- სიგელი (პედ. ნინო აბაშიძე)

 9 მაისი - კულტურის ცენტრთან არსებული საბალეტო სტუდია (პედაგოგი ელენე თოდაძე) იმყოფებოდა მცხეთაში გამართულ ბავშვთა კლასიკური და მსოფლიო ხალხთა ცეკვების XII რესპუბლიკურ საერთაშორისო ფესტივალზე „ბროლის ცერი“. მოცეკვავეებს მონაწილეობისა და საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის გადაეცათ ლაურეატის დიპლომები.დიპლომი და ფესტივალის სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა სტუდიის პედაგოგს. 18 - მაისი ქ.თბილისის აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის მე-17 რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის “იპოვე შენი ვარსკვლავი“ ლაურეატთა დაჯილდოება და გალა კონცერტი, გრან-პრისა და პირველ ადგილოსან მოსწავლეთა მონაწილეობით. აღნიშნულ ფესტივალ-კონკურსში წარმატებით მონაწილეობდნენ საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები (პედაგოგი კესო ჭიღლაძე). ადგილი, ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი გადაეცა : ანდრია მუმლაძეს,ანასტასია და ელისაბედ მიროტაძეებს. II ადგილი, ლაურეატის წოდება და ვერცხლის მედალი გადაეცა : ლიზა გაბრიჭიძეს, ლედი გელაშვილს, მარიამ ყიფშიძეს .წარჩინებული

ბავშვების წარმოჩენისა და მათ ესთეტიკურ აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის პედაგოგს კესო ჭიღლაძეს მიენიჭა „წარმატებული პედაგოგის" წოდება.

21 მაისს- საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები (პედაგოგები-კესო ჭიღლაძე, დიანა აბრამიშვილი) იმყოფებოდნენ „სენაკის XII არტ-ფესტივალზე“. მოსწავლეებმა ჟიურისგან მოწონება და „საპატიო დიპლომები“ დაიმსახურეს, რომელიც გადაეცემათ გალა-დაჯილდოებაზე 25 მაისს.

23 მაისს- საესტრადო ვოკალის შემსწავლელი ჯგუფის მოსწავლეებმა სასწავლო წლის საანგარიშო კონცერტი გამართეს (პედაგოგები-ირინა გრიგოლაშვილი, მაია ბარბაქაძე). აღსანიშნავია, რომ პატარებისთვის დღევანდელი ღონისძიება დებიუტი იყო, ისინი პირველად იდგნენ სცენაზე.29 მაისს- სენაკის XII მუსიკალური ფესტივალი, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, გალა-კონცერტით დაიხურა. საზემო დახურვის ცერემონიალზე, ფესტივალში მონაწილე, საფორტეპიანო მიმართულების 9 მოსწავლეს (პედაგოგები-კესო ჭიღლაძე, დიანა აბრამიშვილი) „საპატიო დიპლომები“ გადაეცათ. ფესტივალის ლაურეატებისა და დიპლომანტების დაჯილდოების ცერემონიალს ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი რუსუდან მილიუტინი და ფესტივალის ორგანიზატორი ვალერიან შიუკაშვილი უძღვებოდა.

1 ივნისს - საესტრადო ვოკალის შემსწავლელი ჯგუფის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ჭიათურაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში მრავალფეროვანი გასართობ და შემოქმედებითი აქტივობებში.

1 ივნისს - კულტურის ცენტრთან არსებული ზ.ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის I კლასის მოსწავლეები. პედაგოგები: იამზე ტაბატაძე, კესო ჭიღლაძე, ინგა ფარქოსაძე, ნინო აბაშიძე, ივეტა ჩალაძე, მაყვალა სხირტლაძე, მარიამ გვიმრაძე (ფორტეპიანო); ირინა გრიგოლაშვილი (გუნდი), ნანი კუზმენკო (სოლო სიმღერა).

4 ივნისს - საესტრადო-ვოკალური ჯგუფის სასწავლო წლის შემაჯამებელი კონცერტი (პედაგოგი გაგა გულიაშვილი). კონცერტს ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, საჩხერის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები (პედ.გაგა გულიაშვილი), რომლებმაც შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნომერი, მათ შორის ერთი სიმღერა შესრულდა ზ.ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის გუნდთან ერთად. მსმენელის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გაგა გულიაშვილის საავტორო სიმღერებმა. 6 ივნისს -კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში საესტრადო ვოკალისა და საკრავების შემსწავლელი ჯგუფის მოსწავლეების (პედაგოგი (პედაგოგები-პაატა კვინიკაძე და თემურ ცუცქირიძე,იმედი სამხარაძე, კოორდინატორი-ინგა ფარქოსაძე) მიმდინარე სასწავლო წლის შემაჯამებელი კონცერტი გაიმართა.

8 ივნისს - ჭიათურის კულტურის ცენტრში იმერეთის სამხარეო კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალი „დელფიადა“ გაიმართა. „დელფიადაში" მონაწილეობდნენ საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები, რომლებიც გრან-პრის და პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ. პედაგოგები: კესარია ჭიღლაძე

იამზე ტაბატაძე დომნა აბრამიშვილი,ინგა ფარქოსაძე, ნინო აბაშიძე,მაყვალა სხირტლაძე

20 ივნისს- კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში ფოლკლორულ ანსამბლ " მნათეს" კონცერტი გაიმართა.კონცერტი მიეძღვნა ანსამბლის დაარსების წლის იუბილეს.(პედაგოგი დიტო კაპანაძე)

4 ივლისს საბალეტო ჯგუფის მოსწავლეები (პედაგოგი ელენე თოდაძე) იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმში გამართულ ფესტივალზე “ჩემი ლამაზი ქვეყანა 2025“. მოცეკვავეებს გადაეცათ დიპლომები და მედლები. ფესტივალის მიერ საბალეტო სტუდიას მიენიჭა „სანიმუშო სტუდიის წოდება“

5 ივლისს- საესტრადო ვოკალის ჯგუფის მოსწავლეები (პედაგოგები-მაია ბარბაქაძე, ირინა გრიგოლაშვილი; კონცერტმეისტერი- იამზე ტაბატაძე), აკადემიური გუნდის (პედაგოგი მიხეილ იაკობიძე) და კლასიკური ვოკალის (პედაგოგი ნინო ამირანაშვილი) მოსწავლეები იმყოფობოდნენ ქალაქ ბათუმში გამართულ ფესტივალზე “ჩემი ლამაზი ქვეყანა 2025“. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით და მედლებით. კლასიკური ვოკალის პედაგოგს ნინა ამირანაშვილს გადაეცა დიპლომი- "წლის წარმატებული პედაგოგი“. აკადემიური გუნდის ხელმძღვანელს მიხეილ იაკობიძეს გადაეცა დიპლომი-" 2025 წლის საუკეთესო ქორმაისტერის წოდება. 5 ილისს- საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები (პედაგოგი კესო ჭიღლაძე) იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმში გამართულ ფესტივალზე “ჩემი ლამაზი ქვეყანა 2025“. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით და მედლები. კესო ჭიღლაძეს გადაეცა დიპლომი- „წლის წარმატებული პედაგოგი“

11 ივლისს- ჭიათურის კულტურის ცენტრში ქუთაისის სიმფონიური ორკესტრისა და საფორტეპიანო მიმართულების პედაგოგ კესო ჭიღლაძის მოსწავლეების ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

17 ნოემბერს- ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ჯორჯ ბალანჩინის სახელობის VI საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი. ფესტივალზე მიწვეული იყო საბალეტო ჯგუფი (პედაგოგი ელენე თოდაძე). მოცეკვავეები წარმატებით წარსდგნენ ჟიურის წინაშე, როგორც სოლო, ასევე დუეტის შესრულებით და დაიმსახურეს დიპლომები ნომინაციით „ელეგანტური შესრულება“ . პედაგოგს გადაეცა დიპლომი „პროფესიონალიზმისა და ერთგულებისთვის“

23 ნოემბერს - თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში“, გაიმართა გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საერთაშორისო, სატელევიზიო საქველმოქმედო ფესტივალი „ჩვენ გვიყვარს საქართველო“. აღნიშნულ ფესტივალზე მიწვეული იყო საესტრადო ვოკალური ჯგუფი (პადაგოგები-მაია ბარბაქაძე, ირინა გრიგოლაშვილი). აღსაზრდელებმა მოწონება დაიმსახურეს და დაჯილდოვდნენ მედლებითა და დიპლომებით. აქტიური მონაწილეობისა და მიღწეული შედეგებისათვის პედაგოგები დაჯილდოვდნენ დიპლომითა და ფესტივალის თასით.

.

14 დეკემბერი - ქ,მცხეთა , ფესტივალი ,,საშობაო ვარსკვლავები - 2025” - სტუდია ,,ასა” რგანის საკლუბო

26 დეკემბერი - ქ.მცხეთა , ფესტივალი ,,საშობაო ვარსკვლავები - 2025 “ - სტუდია ,,ასა”

6. ჭადრაკის სამოყვარულო წრე (პედაგოგი : ნათია თურმანიძე):

20 მაისი- კულტურის ცენტრში გაიმართა შიდა საჭადრაკო შეჯიბრი სამ ასაკობრივ კატეგორიაში. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა I , II, III ადგილის მფლობელი.

25 ოქტომბერს - „ჭიათურობა 2025" კვირეულის ფარგლებში გამართულ საქალაქო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ჭადრაკის სამოყვარულო წრის მოსწავლეებმა. 26 ოქტომბერს - „ჭიათურობა 2025" -საქალაქო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ჭადრაკის სამოყვარულო წრის მოსწავლეებმა.

11 დეკემბერი - კულტურის ცენტრის მცირე დარბაზი- შიდა საჭადრაკო ტურნირი სამ ასაკობრივ კატეგორიაში, საახალწლო ღონისძიებების კვირეულის ფარგლებში.

7. მხატვრული კითვის წრე (პედაგოგი სოფიკო გოგოლაძე): 5 თებერვალი - წიგნის საჯაროდ კითვის დღის ღონისძიება გაიმართა კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში.

8. ქართული ცეკვების სამოყვარულო ჯგუფი (პედაგოგი: გიზო ასანიძე) :

22 მაისს - ზოდის საკლუბო დაწესებულებაში გაიმართა გიზო ასანიძის და მარიამ გვიმრაძის მოსწავლეების ერთობლივი საგაზაფხულო კონცერტი.

● ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის 2025 სასწავლო წლის ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლაში ამჟამად ორასზე მეტი მოსწავლე ირიცხება. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შემდეგ მიმართულებებზე: ფერწერა, კომპოზიცია, ხეზე კვეთა, ძერწვა, აპლიკაცია, გობელენი, ქსოვა, ფოტოხელოვნება და ხელოვნების ისტორია.

ხელოვნების სკოლა აქტიურად არის ჩართული ქალაქში გამართულ სხვადასხვა კულტურულ და მასობრივ ღონისძიებებში და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და მათი ნამუშევრების ფართო საზოგადოებისთვის წარდგენას.

მიმდინარე წლის მარტის თვეში ხელოვნების სკოლაში მოეწყო ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა დედის დღეს (3 მარტი) და ქალთა საერთაშორისო დღეს (8 მარტი).

ასევე გაიმართა პოლ სეზანის რეპროდუქციების გამოფენა, რომელიც შესრულებული იყო ხელოვნების სკოლის მოსწავლეების მიერ.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელოვნების სკოლამ ტრადიციულად მოაწყო თემატური გამოფენა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

მიმდინარე წლის 21 ივნისს ჭიათურის ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების მე-18 კონკურს-ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები 2025“, სადაც სპეციალური პრიზი ერგო ჭიათურის ხელოვნების სკოლას.

გამოფენა-ფესტივალის დაწყებამდე ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა თბილისში მდებარე ეროვნული მუზეუმი მოინახულეს, რაც მათთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო გამოცდილება იყო.

სექტემბერში, ჭიათურის კულტურის ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სოფელ კაცხში, ტურიზმის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა ღონისძიება „მესვეტეობა 2025“. ღონისძიების ფარგლებში ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა ადგილზე შექმნეს ჩანახატები, რაც მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უწყობდა ხელს.

26 ოქტომბერს, ჭიათურობის დღესასწაულის ფარგლებში, ხელოვნების სკოლამ წარმოადგინა თემატური გამოფენა, რომელიც მიეძღვნა „ჭიათურობა 2025“-ს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ სპეციალურად აღნიშნული ღონისძიებისთვის შექმნილი ნამუშევრები.

- **აიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა**

აიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა აერთიანებს შვიდ საქალაქო და ოც სოფლის ბიბლიოთეკას.

ცენტრალური ბიბლიოთეკა 2025 წლის განმავლობაში სულ მოემსახურა 5450 მკითხველს და მათზე გაიცა 40 942 ცალი წიგნი.

ბიბლიოთეკებში მოეწყო სხვადასხვა სახის მუდმივი და დროებითი გამოფენები, ჩატარდა ღონისძიებები აქტუალურ თემებთან დაკავშირებით.

სულ ჩატრდა 50 -მდე ღონისძიება.

ასევე ჩატარდა ღონისძიებები სოფლის ყველა ბიბლიოთეკაში მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით.

2025 წელში ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ განახორციელა შემდეგი სახის საქმიანობა.

1. საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.
2. მკითხველთა ინფორმაციული უნარების განვითარება.
3. კულტურული ღონისძიებები (გამოფენები, წიგნის პრეზენტაციები)
4. კითხვის პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობა.
5. ლიტერატურის შერჩევა და შეძენა. (522 ცალი წიგნი, თანხით 5900ლ)
6. კატალოგიზაცია, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია, ფონდის რეგულირება განახლება.
7. ელექტრონული რესურსების გამოყენება.
8. წიგნის გაცემა.
9.
10.

- **სანდრო კავსაძის სახელობის N 1 სამუსიკო სკოლა**

ისევე როგორც შარშან, წელსაც სკოლამ კონკურს-ფესტივალზე „იპოვე შენი ვარსკვლავი 2025“ (29 მარტი) მოიპოვა „სანიმუშო სკოლის“ წოდება. საგუნდო კოლექტივს (ხელმძღვანელი მაია კაპანაძე) ვარსკვლავი მიენიჭა.

პიანისტები:

- ცოტნე გოგოლაშვილი – ვარსკვლავი
- თინანო ღავთაძე – ვარსკვლავი

სკოლის ფოლკლორულმა გუნდმა „გრან-პრი“ მოიპოვა.

2024 წლის სექტემბერში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა – ეკატერინე მამისეიშვილმა, თინანო ღავთაძემ და ცოტნე გოგოლაშვილმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში

„ლირა“, რომელიც ჩატარდა „ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში.
ფესტივალი წელს მე-11 სეზონს აღნიშნავს და უკვე 9 წელია იუნესკოს პატრონაჟით ტარდება. ფესტივალს ხელმძღვანელობს გამოჩენილი ქართველი პიანისტი, იუნესკოს მშვიდობის ელჩი და პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე – ქალბატონი ელისო ბოლქვაძე.

კონკურსის 12 რჩეულ მონაწილეს შორის მიწვეული იყო ჩვენი სკოლის მოსწავლე ეკატერინე მამისეიშვილი, რომელმაც 2025 წლის 18 იანვარს მონაწილეობა მიიღო დასკვნით კონცერტში, კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

21–25 ოქტომბერს ჩატარდა თ. ამირეჯიბის სახელობის X საერთაშორისო კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ეკატერინე მამისეიშვილმა, თინანო ღავთაძემ და ცოტნე გოგოლაშვილმა.
სამივე მოსწავლემ მოიპოვა საპრიზო ადგილები და ფულადი პრემიები:

- ეკატერინე მამისეიშვილი – I პრემია და ფულადი ჯილდო
- თინანო ღავთაძე – II პრემია და ფულადი ჯილდო
- ცოტნე გოგოლაშვილი – III პრემია და ფულადი ჯილდო

2025 წლის 22–27 იანვარს თბილისში ჩატარდა მოცარტის X საერთაშორისო კონკურსი, სადაც:

- ცოტნე გოგოლაშვილმა მოიპოვა I პრემია
- ეკატერინე მამისეიშვილმა – II პრემია

სკოლის ორი მოსწავლე – ეკატერინე მამისეიშვილი და ცოტნე გოგოლაშვილი – ვალერიან შიუკაშვილის სრული დაფინანსებით აპრილში გაემგზავრნენ თურქეთის ქალაქ ბილეჯიქში, გაზაფხულის პიანისტთა საერთაშორისო ფესტივალის გალა-კონცერტზე. მათი გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ცნობილმა თურქმა პიანისტმა გიულსიმ ონაუმ ისინი საკუთარი სოლო კონცერტის დასკვნით ნაწილში მიიწვია მონაწილეობის მისაღებად.

სასწავლო წლის ბოლოს, 1–4 ივნისს, ქ. ერევანში ჩატარდა G „GENERALBASS“-ის ბაროკოს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი, სადაც:

- ეკატერინე მამისეიშვილმა – I ადგილი
- ცოტნე გოგოლაშვილმა – III ადგილი და სპეციალური პრიზი კომპოზიტორ არნო ბაბაჯანიანის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის

12 ოქტომბერს გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსის მეორე ტური, სადაც სკოლის მგალობელმა გუნდმა მოიპოვა ოქროს I ადგილი და ოქროს მედალი
(პედაგოგი: მაია კაპანაძე).

19–20 ოქტომბერს, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, სკოლის მოსწავლეებმა – ეკატერინე მამისეიშვილმა, თინანო ღავთაძემ და ცოტნე გოგოლაშვილმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „ქართულ-სომხური კულტურული ხიდი“.

ასევე 21–25 ოქტომბერს ჩატარდა თ. ამირეჯიბის სახელობის XI საერთაშორისო კონკურსი, სადაც:

- თინანო ღავთაძემ მოიპოვა III ადგილი და ფულადი ჯილდო
- ცოტნე გოგოლაშვილმა – II ადგილი და ფულადი ჯილდო

გივი თხელიძის სახელობის N2 სამუსიკო სკოლა

2025 წლის იანვრის თვიდან ა.ა.იპ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გ. თხელიძის სახ. N 2 სამუსიკო სკოლამ ჩაატარა საქალაქო და შიგა სასკოლო ღონისძიებები , მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ და დაიმსახურეს დიპლომები და სიგელები:

მარტი - ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.
მარტი - ბახის 7 ეროვნული კონკურსი (წყალტუბო)
მარტი - კლასიკური მუსიკის მე-17 საერთაშორისო კონკურსი ფესტივალი „ მომავლის ვარსკვლავები“ (ქ. ზესტაფონი)

მარტი - კლასიკური მუსიკის მე-16საერთაშორისო კონკურსი ფესტივალი „ იპოვე შენი ვარსკვლავი“ (ქ. თბილისი)
აპრილი - ქართული მუსიკის 9 ეროვნული კონკურსი (ზესტაფონი)
აპრილი - კონკურსი ფესტივალი რონდო კლასიკი (ქ უთაისი)
აპრილი - კლასიკური მუსიკის მე-17 საერთაშორისო კონკურსი ფესტივალი „ „მომავლის ვარსკვლავები“ გ ა ლ ა კ ო ნ ც ე რ ტ ი (ქ. თბილისი)
აპრილი- 9 აპრილისადმი მიძღვნილი კონცერტი
მაისი - ქართული სიმღერის 2 კონკურსი (ჭიათურა)
მაისი -კლასიკური მუსიკის მე-16 საერთაშორისო კონკურსი ფესტივალი „ იპონე შენი ვარსკვლავი“ გ ა ლ ა კ ო ნ ც ე რ ტ ი (ქ. თბილისი)
მაისი - სენაკის“ ხელოვნების ფესტივალი“ -2025 (ქ. სენაკი)
მაისი - სენაკის „ ხელოვნების ფესტივალი 2025“ გ ა ლ ა კ ო ნ ც ე რ ტ ი (ქ. სენაკი)
მაისი - 9 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტი
მაისი - „ ჩემი პირველი კონცერტი“
ივნისი-კ. ჩერნის სახელობის 3 კონკურსი (ლანჩხუთი)
ივნისისი - 1 ივნისისადმი მიძღვნილი კონცერტი (1 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით)
ივნისი - საქალაქო კონცერტი
ივნისი - ქუთაისის საყმაწვილო დელფიადა . (ქ. ქუთაისი)
ივლისი -საერთაშორისო ფესტივალი „ ჩემი ლამაზი ქვეყანა-ბათუმი 2025“ გ ა ლ ა კონცერტი „ (ქ. ბათუმი)
ნოემბერი - კონკურსი- ფესტივალი „ გრანდ ტალანტი“ ქ. ბათუმი
საახალწლო კონცერტი

- **აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრი**

130-ე საიუბილეო სეზონი ჭიათურის თეატრისთვის მეტად საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული აღმოჩნდა.

თეატრის შენობაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიუხედავად, 2025 წელს ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა სამი ახალი სპექტაკლი განახორციელა. უღრმეს მადლობას ვუხდით ჭიათურის მერიას თეატრისთვის ახალი სივრცის გადმოცემისათვის, სადაც მერიის უშუალო მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით დაიდგა:

- ლუჩიან ბალეანუს პიესის მიხედვით ანდრო ენუქიძის სპექტაკლი „მოდარაჯე ძაღლები“;

- არნოლდ უესკერის პიესის მიხედვით გიორგი თავაძის სპექტაკლი „სიძე მოვალს“ (ანუ დღესასწაული პატარა ქალაქში);
- ვუდი ალენის პიესის მიხედვით დავით ნიკოლაძის სპექტაკლი „მოფარფატე ნათურა“.

აღნიშნულმა წარმოდგენებმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, რამაც საფუძველი შექმნა სურვილის — მომდევნო წლებში განვახორციელოთ მრავალფეროვანი ჟანრის, მათ შორის საბავშვო სპექტაკლებიც.

მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის ფესტივალში დავით ნიკოლაძის სპექტაკლით „ცხოვრება თამაშია“.

დიდი იმედი გვაქვს, რომ მომდევნო წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი და საინტერესო იქნება და მუნიციპალიტეტის მერიის, განსაკუთრებით კი თეატრის დიდი მეგობრის ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ გივი მოდებაძის თანადგომით, თეატრი არა მხოლოდ ახალ სპექტაკლებს განახორციელებს, არამედ საერთაშორისო პროექტებსა და ფესტივალებშიც მიიღებს მონაწილეობას, რაც ჩვენი თეატრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

27-ე სპორტული სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის #27-ე კომპლექსურ სპორტულ სკოლაში 14 სპორტის სახეობის სექციებში ჩაბმულია 576 ბავშვი, რომელთა სპორტულ აღზრდას ემსახურება 37 კვალიფიცირებული მწვრთნელი.

2025 წელს სკოლის ნაკრებმა გუნდებმა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე წარმატებით იასპარეზეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში და დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

1) თემო პაპიძე (საქ. ჩემპიონატი კრივში III - ადგილი)

2) სანდრო პაპიძე (საქ. ჩემპიონატი კრივში II - ადგილი)

3) ნიკოლოზ ლობჟანიძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში II, II - ადგილი)

4) გივი ხვედელიძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში I, III, III - ადგილი)

5) ბარბარე გვიმრაძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში III - ადგილი)

6) ლაშა გაგნიძე (საქ. ჩემპიონატი კრივში II - ადგილი)

7) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (შუბის ტყორცნა) I - ადგილი)

8) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (ბადროს ტყორცნა) I - ადგილი)

9) დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) III ადგილი

10) ერეკლე ტაბატაძე (საქ. ჩემპიონატი ჭადრაკი) I ადგილი

11) დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) I ადგილი

12) ავთო ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) III ადგილი

13) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (შუბის ტყორცნა) I - ადგილი)

14) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (ბადროს ტყორცნა) I - ადგილი)

15) გიორგი ჩაჩანიძე (საქ. ჩემპიონატი კრივში III - ადგილი)

16) ლუკა კურტანიძე (საქ. ჩემპიონატი კრივში III - ადგილი)

17) გიორგი გაფრინდაშვილი (საქ. ჩემპიონატი კრივში III - ადგილი)

18) გოგა ბრეგვაძე (საქ. ჩემპიონატი კრივში III - ადგილი)

19) ერეკლე ტაბატაძე (მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკი II - ადგილი)

20) მირანდა კაპანაძე (საქ. ჩემპიონატი ჭიდაობაში) I

21) ანი ჩაჩანიძე (საქ. ჩემპიონატი ჭიდაობაში) III

22) ნინი ციცვიძე (საქ. ჩემპიონატი ჭიდაობაში) I

23) ნინო სამხარაძე (საქ. ჩემპიონატი ჭიდაობაში) II

24) ერეკლე ტაბატაძე (საქ. ჩემპიონატი ჭადრაკი) I

25) დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) I, II

26) ავთო ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) II

27) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (შუბის ტყორცნაში) II - ადგილი)

28) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (ბადროს ტყორცნაში) II - ადგილი)

29) ერეკლე ტაბატაძე (ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკი) III

30) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (შუბის ტყორცნაში) I - ადგილი)

31) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (ბადროს ტყორცნაში) II - ადგილი)

32) ავთო ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) I

33) დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) II

34) ქეთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (შუბის ტყორცნაში) II - ადგილი)

35) ავთო ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) III

36) დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონატი მძლეოსნობა (რბენაში) III

37) მანუჩარ ყიფშიძე (საქ. ჩემპიონატი ძალოსნობაში I

38) ნიკოლოზ ლობჟანიძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში) II

39) საბა სამხარაძე (საქ. ჩემპიონატი ძიუდოში) II

40) საბა სამხარაძე (საქ. ჩემპიონატი ძიუდოში) III

41) ლანა ფხალაძე - (საქ. ჩემპიონატი სამჭიდში) II - ადგილი

42) ნინო სამხარაძე - საქ. ჩემპიონატი სამჭიდში III - ადგილი

43) ნიკოლოზი კუპატაძე - (საქ. ჩემპიონატი სამჭიდში) II - ადგილი

44) ლაშა გაგნიძე (ევროპის ჩემპიონატი კრივში) III

ა(ა) იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლა

ა(ა) იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტულ სკოლაში ამ დროისათვის 350 -მდე მოსწასვლეა რეგისტრირებული . სკოლა აქტიურად მონაწილეობს იმერეთის რეგიონალური ფედერაციის ღია ჩემპიონატში, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობს ექვსი საშეჯიბრო გუნდი. ჩვენი სკოლის ფეხბურთელები წარმატებით მონაწილეობენ რეგიონული ლიგის ჩემპიონატებში და ღირსეულად წარმოადგენენ ჭიათურას.

საფეხბურთო სკოლამ 2025 წელს წარმატებით გაიარა სკოლების კატეგორიზაციის ეტაპები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პირველად მიანიჭა მესამე კატეგორია .

საფეხბურთო სკოლას ემსახურებიან ლიცენზირებული მწვრთნელები რომლებიც ზრუნავენ ბავშთა განვითარებაზე.

სკოლის ფეხბურთელები წარმატებით იცავენ რეგიონული ლიგის და სხვადასხვა ქალაქის ღირსებას:

1. გიორგი კუპატაძე (2011წ)-- თბილისის დინამოს აკადემია. მწ .ზ. გოგილავა.
2. საბა სოფრომაძე (2010 წ)-- თბილისის 35 სკოლა.მწ. ც. ცერცვაძე,ს. გაბაძე.
3. გიორგი სარალიძე (2011წ)-- იმერეთის ნაკრები. მწ. გ. მიროტაძე.ზ. გოგილავა
4. გიორგი სარალიძე (2011წ)-- იმერეთის ნაკრები.მწ. გ. მიროტაძე.ზ. გოგილავა.

ასევე U -15 - ის ასაკობრივი გუნდიდან ჭიათურის კლუბ „ მაღაროელში“ აგრძელებენ საფეხბურთო კარიერას ფეხბურთელები: მათე გოგოლაძე, ფიდო ნეფარიძე, თაზო მოდებაძე, გიორგი ჭანკვეტაძე და დემეტრე ჩაფიძე.

● რაგბის სპორტული სკოლა

2025 წლის პირველი კვარტალში ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ჭიათურის რაგბის სპორტული სკოლის საქმიანობა მოიცავდა ბავშების,
მოზარდებისა და ჭაბუკების მომზადებას, გაწრთვნასა და დაოსტატებას რაგბში, საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დადგენილი წესებითა და დებულებებით ასაკობრივი
გუნდების მონაწილეობას სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ფესტივალებზე (ტურნირებზე), ჭაბუკთა
„ა“ და „ბ“ ლიგაში გუნდის ასპარეზობას.
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ჭიათურის რაგბის
სპორტული სკოლის ასკობრივმა გუნდებმა (2010-2011 წლიანები, 2012-2013 წლიანები და

2014-2015-2016-2017 წლინები) მონაწილეობა მიიღეს 2 ფესტივალზე (ტურინერბზე), ჭაბუკთა
„ა“ ლიგის გუნდმა 2024-2025 წწ სეზონის 4 შეხვედრა, ხოლო ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდმა
2024-2025 წწ სეზონის 7 შეხვედრა ჩაატარა.

◆◆◆

2025 წელი ჭიათურის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი შედეგებით, წარმატებული პროექტებითა და მრავალფეროვანი ღონისძიებებით გამოირჩეოდა. ამ მიღწევებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს მთავრობას, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას, მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ პაატა კვიჟინაძეს, საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს, ჩვენს აიპიებს, სიპებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს. გულწრფელ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

გილოცავთ დამდეგი 2026 წლის დადგომას და გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და სიხარულს.

ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ყველა გამოწვევას ეტაპობრივად და შედეგიანად გავუმკლავდებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტი გახდეს კიდევ უფრო კომფორტული, განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი.